წლიწადი პირველი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
სარედაქციო—[illegible] 14—76, სტამბის—[illegible]—70.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს.
კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

სამშაბათი, 28 ივნისი 1921 წ.

№ 94 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 94

სასურსათო კომპანია.

საბჭოთა საქართველოში მძაფრი სასურსათო კრიზისია გამოწვეული ამ ჟამად. მენშევიკების მთავრობის პოლიტიკამ ჩვენი ისედაც ღარიბი ქვეყანა სულ მთლად გამოფიტა და დააცალიერა. ექსორია ქმნილ მთავრობამ თან წაიღო ყველაფერი რაც კი მომარაგებული იყო ჩვენში, ხიდების აფეთქებამ დასწყვიტა პირველ ხანებში ქალაქსა და სოფელს შუა ნორმალური მიმოსვლის და ეკონომიური ურთიერთობის ძაფები. ქალაქის მუშა დღეს განიცდის სურსათის დიდ ნაკლებობას, დამშეულია სოფლის ღარიბ-ღატაკებიც. საბჭოთა მთავრობა და მისი სასურსათო ორგანოები კრიზისის შენელებას და მის დაძლევას ცდილობენ ყოველი საშუალებით. მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკები დიდს დახმარებას გვიწევენ, ჩვენი საგარეო ვაჭრობის კომისარიატი საზღვარგარეთის ბაზრის გამოყენებას აწარმოებს.

მაგრამ ცხადია რომ პირველ ყოვლისა ჩვენ ჩვენივე სიმდიდრეს უნდა დავეყრდნოთ უმთავრესად და მშრომელთა გამოსაკვებად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი მეურნეობის ყოველი შესაძლებლობა. ამ მხრივ კი ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

ჩვენი ქვეყნის ზოგ მაზრაში დღესაც საკმაოდ არის სიმინდი და პური. მაგრამ ეს პური არსობისა სოფლის შეძლებულ გლეხების, კულაკების ბეღლებშია. კულაკები კი პურს არ ელევიან არც ფულად, და საშირად არც სხვა და სხვა საგნებზე გადასაცვლელად. სპეკულიაციის ქვენა გრძნობებით გაჟღენთილნი, ისინი ცივი უარით უხვდებიან სასურსათო კომისარიატის აგენტებს, რომელნიც მათთან მიდიან ზედმეტი სურსათის შესაძენად ფულად ან საქონელზე გადაცვლით. ასეთი მდგომარეობა ყოვლად აუტანელია მათი მთავრობისათვის. ქალაქის და სოფლის მუშა—ეს ერთად ერთი მწარმოებელი და ქვეყნის მატერიალური სიმდიდრის შემქმნელი ძალა შიმშილის კლანჭებში ვერ დარჩება. და თუ სოფლის წურბელა, სოფლის კულაკი სპეკულიანტი ნებით არ იძლევა სათანადო დღევანდელ ფასებში ზედმეტ სურსათს, თუ ის მაძღარ ობობასავით უთვალთვალებს თავის მსხვერპლს და არ ეჩქარება პურ-სიმინდის გაყიდვა თუ გადაცვლა, მან უნდა იგრძნოს მშრომელთა ხელისუფლების სუსხიანი შეხება, მან უნდა იგრძნოს, რომ ჩვენში დატოვებული თავისუფალი ვაჭრობა არ ნიშნავს მშრომელთა თავისუფლად დამშევას. ზედმეტი სურსათის პატრონთან ჩვენ უნდა მივიდეთ ფულით და საქონლით და მოვსთხოვოთ ნებაყოფლობით მოყიდვა პურის, სიმინდის, ლობიოსი და სხვა და თუ ნებაყოფლობით არა გამოვიდა რა, მაშინ უნდა გადავიდეთ საქმეზე სიტყვა-დაჯერების უკუგდებით: კულაკის გაჯიუტებას უნდა დავუპირდაპიროთ მტკიცე ნება მუშის და სოფლის ღარიბ ღატაკის. საშუალო ქონების გლეხი, სოფლის ღარიბი მუშაკი საბჭოთა მთავრობის ყურადღების, მისი მზრუნველობის საგანია, არავითარი შევიწროება მათ არ უნდა მიადგეს, პირიქით ისინი უნდა ჩავრიოთ კულაკების ალაგმვის საქმეში.

და ჩვენი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების, და თითოეული პარტიული ამხანაგის წმინდა მოვალეობაა ენერგიული დახმარება გაუწიონ სასურსათო ორგანოების აგენტებს, გაუწიონ სოფლის მასსებში დატრიალებით, მათთვის მდგომარეობის განმარტებით, და სასურსათო კამპანიაში აქტიური ჩარევისაკენ მოწოდებით. კულაკების ბეღლებში თუ ბნელ კუნჭულებში გადამალულ სურსათის აღრიცხვა, გადაწყვეტა იმის თუ რამდენი პური ან სიმინდია საჭირო შეძლე ოჯახის მოთხოვნილებისათვის დასატოვებელი—ყველა ეს თვით სოფლის მასსების საქმე უნდა იყოს. ჩვენი პარტიული ამხანაგები უხელმძღვანელებენ მათ ამ საქმეში. ეჭვი არ არის ეს ზომა საგრძნობ ნაყოფს გამოიღებს მოკლე ხანშივე და ქალაქის თუ სოფლის მშრომელთა ყოველ დღიური ლუკმა პური საძებარი აღარ დაურჩებათ.

საბჭოთა რუსეთის პრესა

იაპონიის ინტერვენციის კულისებში.

შორეულ აღმოსავლეთის მტაცებლის შეიარაღებული თავდასხმა სრულიად არაა მოულოდნელი. რომ, ის მზადდებოდა შორეულ-აღმოსავლეთის რუს კონტრ-რევოლიუციონერებთან ერთად უკვე დიდი ხანია, მაგრამ გვერდზე იდობოდა არა ხელსაყრელ მომენტისა და სხვა პოლიტიკურ მოსაზრებების გამო. ამას მოწმობს საინტერესო დოკუმენტების მთელი რიგი, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „დალნევოსტოჩნაია პრავდა"-ში.

ამ დოკუმენტების სერია იწყება სამხედრო სამინისტროს საიდუმლო ბრძანებით ტოკიოდან 12 ივლისის 1920 წ. თარიღით ციმბირის არმიის სარდლისადმი ვლადივოსტოკში. ამ ბრძანებაში, სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი: „ჩვენი ინტერესები მოითხოვს შეტევის მოხდენას ბლაგოვეშჩენსკზე, რომლის რაიონი ავსებულია პარტიზანული და ბოლშევიკური ჯარებით" და შემდეგ: „იაპონიის საიმპერატორო მთავრობის საერთო ინტერესები მოითხოვს, რომ ახლო მომავალში მოხდენილ იქნეს ოკუპაცია სავსებით და მთლიანათ." მაშინათვე ამის შემდეგ არის მე-14 დივიზიის სარდლის ბრძანება. ბრძანებაში გამომჟღავნებულია სანიმუშო გეგმა ბლაგოვეშჩენსკზე გასალაშქრებლათ, და მასთან ნათქვამია შემდეგი: „თქვენ მიერ წინეთ ნაჩვენები რუსები ოკუპაციის დროს ძალიან სასარგებლონი იქნებიან ჩვენთვის". და შემდეგ: „გიბრძანებთ თქვენ გაარჩიოთ ჩვენი პროექტები საიმედო რუსებთან, ხოლო იმ რუსების გვარები, რომლებსაც სურთ ემსახურონ იაპონიის საიმპერატორო მთავრობას, მაშინათვე გადმოგზავნეთ". შემდეგ არის დოკუმენტების მთელი რიგი, რომლებიც ახასიათებს რუსი კონტრ რევოლიუციონური გმირების მონაწილეობას იაპონიის სამტაცებლო გეგმებში.

მაგრამ აგვისტოს დასაწყისში პოლონეთის ფრონტზე ჩვენი გამარჯვებისა და შეერთებულ შტატების მტრული პოზიციის გამო, მდგომარეობა რამდენიმეთ იცვლება და სამხედრო სამინისტრო აგზავნის ციმბირის არმიის შტაბში ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ ზემოდ ნაჩვენებ გარემოებათა გამო გადაწყვეტილია იაპონიის პოლიტიკური პროექტები რამდენიმე ხნით სრულიად არ გავატაროთ და დღევანდელ მომენტში ოკუპაცია უვარვყოთ. „საადრევ ნაბიჯებს",—ნათქვამია ცნობაში,—„შეუძლია დაღუპოს ყველა ჩვენი დიდი იდეები. მაგრამ განწყობილება უცბათ იცვლება და აგვისტოშივე მე 14 არმიის სარდალი ღებულობს ბრძანებას დაიწყოს შეტევა ამურის ოლქზე არა უგვიანეს აგვისტოს დამლევისა. ამის განხორციელება მაშინ ვერ შესძლეს, მაგრამ სამაგიეროთ დღეს კიდევ ხელს ამ საქმეს იაპონიის მძარცველები. ისინი დაიმედებულნი არიან, რომ მათ მიერ მოყიდულ რუსი კონტრ რევოლიუციონერების, „პატრიოტების" დახმარებით, სემიონოვისა და უნგერნის ბანდების დახმარებით განახორციელებენ თავიანთ „დიად იდეებს". შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ შორეულ აღმოსავლეთის მუშები და გლეხები შესაფერ პასუხს გასცემენ იაპონიის მძარცველურ ნაბიჯებს. („იზვესტია" № 121).

ლატოვსკი.

——

საფრანგეთი ახალი კურსის წინ.

ყველა ქვეყნის ბურჟუაზიას ბევრი საერთო აქვს სამღვდელოებასთან, ის აგრეთვე უფრო აპატიებს გალაშქრებას მის შეხედულებებზე, ვიდრე მის შემოსავალზე. ამ დებულების დამამტკიცებელ საუცხოვო მაგალითს გვაძლევს ჩვენ საფრანგეთის მთავრობა.

მთელი რევოლიუციის განმავლობაში ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური საფრანგეთი იყო და არის მოთავე ყოველგვარი გალაშქრებისა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ის ეხმარება უქმად ყოველგვარ ჩვენს მტრულ ძალებს, აწვდიდა მათ ყველაფერს, თითქოს ცოცხალ ძალასაც კი.

ახლა, როგორც ჩანს იწყება გადატეხა საფრანგეთის ბურჟუების პოლიტიკაშიაც, ვინაიდან ახლა საკითხი შემოსავლის შესახებ დადგა განსაკუთრებით მწვავეთ.

ოფიციალური მოხსენებაში, რომელიც ხელს აწერს მინისტრი ბრიანი, აღნიშნულია, რომ „ჩვენი (საფრანგეთის) გამოკვების ინტერესები და კომერციულ წონასწორობის აღდგენის აუცილებლობა მოითხოვს შემყიდველ ორგანიზაციებს იმ ქვეყნებში, სადაც, როგორც მაგალითად კავკასიაში საქონლის გაცვლა-გამოცვლა განსაკუთრებით ხელსაყრელია".

აი სწორეთ ეს „როგორც მაგალითად კავკასიაში" მეტად ღირსშესანიშნავია. კავკასიის ზოგიერთი ოლქები ამ ჟამათ ჩვენი ფედერაციის ნაწილებია. ეს გარემოება, რომ ინგლისმა ჩვენთან ხელშეკრულება დასდო, ხელფეხი გაუხსნა ინგლისის კაპიტალისტებს და შეძლება მისცა მათ გამოიყენონ ბაქოს ნავთი. ეს კი სერიოზული მეტოქეა საფრანგეთის კაპიტალისათვის იმ შემთხვევაში, თუ კი ის ამ ნავთის გამოყენებას ვერ შესძლებს.

საფრანგეთის ოფიციალური მოხსენება აღნიშნავს, რომ „ფასების აწევის ერთი მიზეზთაგანი არის ის, რომ შეუძლებელია კავკასიის მინერალების სიმდიდრის გამოყენება". რომ ვისარგებლოთ ამ სიმდიდრით, საჭიროა, რომ ხელმისაწვდომი იყოს ის ჩვენთვის. ხელმისაწვდომი შეიძლება გახდეს ის მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკის საშუალებით. დასკვნა აქედან სრულიად გასაგებია: საჭიროა შეთანხმება რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკასთან. ასეთ დასკვნას საფრანგეთის ოფიციალური მოხსენება არ აკეთებს, მაგრამ ეს იბადება თავისთავად. ჩვენ შეგვიძლია ამიტომ ვუცადოთ „საფრანგეთის „მშვიდობიან შემოქმედებითი" პოლიტიკის შემდეგ განვითარებას დამშვიდებული ნერვებით. რაკი უკვე ჩამოვარდა სიტყვა ეკონომიურ შეჯიბრებაზე, თითქმის უეჭველად „ქვასავით მტკიცე" საფრანგეთის კაპიტალიც აღმოჩნდება რბილი და მოქნილი.

სამრეწველო კრიზისი საფრანგეთში, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება, საუკეთესო მათრახია, რომელიც აიძულებს საფრანგეთის ბურჟუას ზავი შეკრას ჩვენთან.

„გუდოკი" № 310.

ვ. ვალი.

საბჭოთა რუსეთში

გრუკავროსტას დეპეშები.

სარწმუნოებრივი საკითხის გამო.

მოსკოვი. 22 ივნისი, (რადიო). ადგილებიდან მიღებულ შეკითხვების გამო, ამით განმარტებულია: როცა მორწმუნეთა ჯგუფები საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ხელშეკრულებას დასდებენ იმის შესახებ, რომ ხსენებულ ჯგუფებს სარგებლობაში მიეცეს შენობები ღვთის მსახურების მიზნით, მორწმუნეთა ჯგუფებს ეძლევათ უფლება აღნიშნონ ხელშეკრულებაში, რომ ამ შენობებს გამოიყენებენ ღვთის მსახურების გარდა სხვა მიზნებისათვისაც, როგორიც: საჯარო კრება, მიტინგები, კონცერტები, ლექციების გამართვა, კურსებისა და სხვა. 2, პირველ მუხლში აღნიშნულ საჯარო კრებების, მიტინგების, კონცერტების, დისკუსიების გამართვისთვის არაა საჭირო ადმინისტრატიულ ხელისუფლების ნებართვა. 3, რაიმე საგნების სწავლების ორგანიზაციისა და კურსების და ლექციების გამართვის საკითხები ექვემდებარებიან სახალხო განათლების განყოფილებათა უწყებას.

შენიშვნა: მორწმუნე პირთ, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი, არა აქვთ უფლება მასწავლებლობისა (ბოლო მიღებული არა. (კავროსტა).

შაქრის ქარხნების უზრუნველყოფა ჭარხლით.

მოსკოვი 22 ივნისი. (რადიო). შრომისა და თავდაცვის საბჭომ გამოსცა დადგენილება, რომლის ძალით უნდა შეუწყონ ხელი შაქრის ჭარხლის დათესვის სივრცის განვითარებას, ამ დადგენილების თანახმად, ჭარხალ-შაქრის ქარხნები წარმოების მოსაწყობად ხელშეკრულებებს სდებენ საბჭოთა მეურნეობებთან და ცალკე ჯგუფებთან, რომელნიც იღებენ ქარხნებისაგან შემოწმებულ სათესლეს და ევალებათ რესპუბლიკის შაქრის ქარხნებს გადასცენ სრულიად მთელი მოსავალი.. შაქრის ჭრხლით დათესილი სივრცე თავისუფლდება სასურსათო გადასახადისაგან.

სრულიად რუსეთის ყრილობა სასოფლო-სამეურნეო საქმეზე.

მოსკოვი. 22 ივნ. (რადიო). სასოფლო-სამეურნეო საცდელ საქმეზე მოწვეულ სრულიად რუსეთის ყრილობამ მოისმინა პროფესორ პრიანიშნიკოვის მოხსენება აზოტიურ სასუქების მომზადების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა დიდი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის ამიაკისა და ეკარჯილას სასუქებისა. პროფესორმა პუშინსკიმ თავის მოხსენებაში სამხრეთ აღმოსავლეთ ოლქის შესახებ აღნიშნა, რომ ხორბლეულ მცენარეების განუწყვეტელმა კულტურამ წაახდინა ღირსება სამხრეთ-აღმოსავლეთის შავ მიწიანი ნიადაგისა. აუცილებლათ უნდა შემოიღონ თესვა საკვებ ბალახებისა, რომლებიც თავიანთ ძირებით გააუმჯობესებენ მიწის თვისებას, ყრილობაზე მოვიდა 300 ზე მეტი წარმომადგენელი რესპუბლიკის საცდელ დაწესებულებებისა. (კავროსტა).

ფინანსები.

ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

იმ ახალ მიზნებთან დაკავშირებით, რომლებიც წამოაყენეს რუსეთის კომუნისტურ პარტიის უკანასკნელ კონფერენციის დროს, ფინანსთა სახალხო კომისარიატი შეუდგა ასეთ საფინანსო ზომების სასწრაფოთ შემუშავებას, რომელთაც მიზნათ აქვთ დააწესონ მთელი რიგი გადასახადებისა და ამნაირათ გააძლიერონ ჩვენი ბიუჯეტის შემოსავალი. ამ მუშაობას ჯერ-ჯერობით მოსამზადებელი ხასიათი აქვს; იგი მდგომარეობს იმის გამორკვევაში, თუ რამდენი შემოსავლის მიცემა შეუძლიან ამა თუ იმ გადასახადს, მუშაობა სწარმოებს სამი მიმართულებით. პირველნი არკვევენ, სახელმწიფო საქმეთაგან რომელს შეიძლება დაედოს გადასახადი და რის მიცემა შეუძლიან მათ ხაზინისთვის ფინანსიურათ; კერძოთ, როგორი იქნება ფინანსიური შედეგები: ფასი რო დავადოთ ხალხისა და ტვირთების ზღვის რკინის გზებითა, წყლითა და გზა-ტკეცილებით, ფოსტა და ტელეგრაფით სარგებლობას და სხვა.

განზრახულია ისეთი გადასახადის შემოღება, როგორიცაა გადასახადი საზოგადოებრივ ზომებით სარგებლობაზე. მეორე, განზრახულია გადასახადების შემოღება როგორიც: ვაჭრობის და სარეწავის გადასახადი, საპატენტო და სხვა. სასურველათ არის ცნობილი აგრეთვე გერბის გადასახადის შემოღება. ამას გარდა, განზრახულია გადასახადი სავაჭრო საქმეების რეგისტრაციაზე, რადგან მხედველობაში აქვთ, რომ სავაჭრო ტრიალი როცა განვითარდება, შეუძლებელ იქნება უამისოთ. განზრახულია აგრეთვე გადასახადები კერძო პირთა სახლებზე, კერძოთ გაცემულ ბინებზე და აგრეთვე ხეხილის—ბაღებზე, რადგან ისინი დიდ შემოსავალს მოუტანენ თავიანთ პატრონებს.

დასასრულ განზრახულია, შესაჩნევათ მოუმატონ ფასი იმ პროდუქტებს, რომლებიც ეძლევა ხალხს (გარდა მუშებისა და მოსამსახურეებისა), როგორც მარილი, ნავთი და სხვა საგნები პირველი საჭიროებისა და შემოიღონ გადასახადი თამბაქოსა, მინერალურ წყლებისა, ყურძნის ღვინოსა და სხვებზე. განზრახულია სასურსათო კომისარიატთან და სხვა ორგანოებთან ერთათ გადაათვალიერონ საქონლის გაცვლის წესები სახელმწიფო შემოსავლის ვალების მიზნით.

შემდეგ ფინანსთა სახალხო კომისარიატი არკვევს, საქონლის გაცვლის გარეშე, რამდენი მრეწველობის ნაწარმოები შეიძლება გაიგზავნოს გასასყიდათ აწეულ ფასებში და რამდენი იქნება შემოსავალი ამისგან. აღნიშნულ საფინანსო ზომების გარდა განზრახულია შემოიღონ კერძო წარმოებათა ცეცხლისგან დაზღვევა; კერძოთ, ნავარაუდევია დაზღვევაზე, სახელმწიფო მონოპოლია. დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ არც შემოსავალის კვლობაზე და არც სარეწაო გადასახადი ჯერ ჯერობით შესაძლებლათ არ მიაჩნიათ, რადგან მსხვილი ვაჭრობის საქმე ჯერ არ გამორკვეულა.

ყველა ამ საკითხების გადასაწყვეტათ ფინანსთა სახალხო კომისარიატან არსებულ ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტთან დაარსებულია განსაკუთრებული კომისია, რომელიც მუშაობს შრომის კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. ს. ი. შმიდტის თავმჯდომარეობით (ეკონომიური ცხოვრება № 122).

საზღვარ გარეთ

გრუკავროსტას დეპეშები.

იტალიის ციხეებში.

მოსკოვი. 22 ივნისი. (რადიო). იტალიურ ბურჟუაზიული გაზეთი „ელ ემანციპაციონი" იუწყება—იმ საშინელ წამების შესახებ, რასაც კომუნისტებს აყენებენ იტალიის ციხეებში. ბურჟუაზიის პროვოკაციის მეოხებით თითქოს შეთქმულობისა გამო ტრიესტში დატუსაღებულ ყველა კომუნისტებს სასტიკათ სტანჯავენ. დატუსაღებულ კომუნისტი კაზარი სულ ერთიან გააშიშვლეს, სცემეს და კბილები ჩაუმტვრიეს. კომუნისტ ვიტალიანს სცემეს და ბოლოს ყელზე მოუჭირეს და კინაღამ დაახრჩვეს. კანციანიც გააშიშვლეს, სცემეს ხარის ძარღვების მათრახით, სქესობრივ ორგანოზე წუწურეს მაწარი და ამ რიგათ დაუწყეს მას წამება. ამხ. კროვატელი გაშიშვლებული დააჩოქეს ფხვნილ მარილზე და ისე ატარეს იქით-აქეთ, სცემდენ აგრეთვე ძარღვის მათრახით ზურგზე. გაზეთი აქვეყნებს დამნაშავეთა დასჯას. უნდა გავიხსენოთ, რომ შეთქმულობის ისტორია შეთხზულია საპროვოკაციო მიზნით საარჩევნო კამპანიის დროს.

პროტესტი იტალიელ ნაციონალისტების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 3 ივნისი. სირაკუზაში (სიცილია) 1500 კომუნისტმა შეიარაღებულებმა თოფებით, რევოლვერებითა და ცელებით საპროტესტო მიტინგი მოაწყვეს ფაშისტების ძალმომრეობის წინააღმდეგ. მიტინგის გათავებისას კომუნისტებს თავს დაესხნენ ფაშისტები და პოლიცია. ნამდვილი ბრძოლა მოხდა, რომლის შედეგი იყო მრავალი მოკლული და დაჭრილი.

ერთა ლიგა.

სტოკჰოლმი, 20 ივნისი (რადიო). ორშაბათს ჟენევაში შესდგება ერთა ლიგის საბჭოს სხდომა, რომელზედაც გაირჩევა მხოლოდ ალანდიის საკითხი. ერთა ლიგის ხელმძღვანელები ჰფიქრობენ გადასწყვიტონ ეს საკითხი საბჭოთა რუსეთის მონაწილეობის გარეშე; ცხადია, რომ ამ გადაწყვეტილებიდან არაფერი არ გამოვა. თანახმად უკანასკნელად მიღებულ ცნობებისა. ამერიკა თავს შეიკავებს ერთა ლიგის საბჭოში მონაწილეობის მიღებაზე. (კავროსტა).

ლატვიის თეთრგვარდიელები.

რიგა, 13 ივნისი (რადიო). ლატვიის მთავრობამ წინდაწინ გაუფრთხილებლად გაძევა ლატვიიდან რუსეთის საზღვრებისაკენ ერთი ეშელონი ლატვიის მოქალაქეებისა, რომელნიც შემჩნეული იყვნენ არა სასურველ ელემენტებათ. რუსეთის მოსაზღვრეებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ არავითარი ცნობა ამის შესახებ, უარი განაცხადეს ეშელონის მიღებაზე, მაშინ ლატვიის ხელისუფლებმა დაუწყეს დახვრეტა თავიანთ მოქალაქეთ. ამის შემდეგ რუსეთის მესაზღვრეები დათანხმდნენ მიეღოთ გაძევებულები.

მუშების დაპატიმრება გროდნოში

მოსკოვი 22 ივნისი (რადიო) პროფკავშირთა ცენტრალურ ბიუროში პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა. მრავალი მუშა დაპატიმრებულია, ბიურო დაბეჭდილია, ლიტერატურას კონფისკაცია უყვეს.

ბურჟუაზია შურს იძიებს.

სტოკჰოლმი. 19 ივნისი (რადიო). შვეციის პოლიციელები ატუსაღებენ ყველა იმ ფინელ მუშებს, ვინც ფინეთის ბურჟუაზიის სიმკაცრეს გაექცა და გამოგზავრა უცხოეთში. ყოველ-დღიურათ შვეციის ბურჟუაზია სულ ახალ-ახალ პროექტებს სთხზავს ფინელ მუშების წინააღმდეგ და სცდილობს მათ გაძევებას შვეციიდან. კომუნისტურმა პარტიამ სტოკჰოლმში გამართა სამი მიტინგი. აქ შვეციის მუშებმა პროტესტი განუცხადეს შვეციისა და ფინეთის თეთრ-გვარდიელებს.

გაფიცვა კანადაში

პეტროგრადი. 5 ივნისი. კანადაში ქაღალდის კრიზისის გამო, შესწყდა მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

რევკომის თავმჯდომარის ამხ. მახარაძის განკარგულებით, ხხვა და სხვა კულტურულ დარგში მოღვაწეებს მიეცათ დახმარების სახით ა/წ. 1 მარტიდან 18 ივნისამდე 12 548,500 მან.

იტალიის ციხეებში კომუნისტები საშინელ წამებას განიცდიან.

რიგ გაზეთების გამოცემა. კრიზისი გამოიწვია ქალაქის დამამზადებელ მუშების გაფიცვამ.

შიშს დიდი თვალები აქვს.

ლონდონი. 20 ივნისი (რადიო) „პტი პარიზენი" ამბობს: გერმანიის მხრივ საფრთხე იზრდება. ის ემუქრება არა მარტო პოლონელებს, არამედ მოკავშირეთა ჯარებსაც.

შიში გერმანიის წინაშე

რიგა 15 ივნისი (რადიო) სილეზიის რაიონში მოქმედი გენერალი ჰეფფერის გერმანული არმია აღწევს ორმოცი ათას მშვენივრათ გაწვრთნილ კაცს. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესსა აღნიშნავს რომ არმია ადვილათ იქნა შედგენილი 8 დღის განმავლობაში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ომმა გაჰფანტა ევროპაში მრავალი თოფი და ტყვიის მფრქვევლები. გერმანულ ქალაქების და სოფლების საიდუმლო ადგილები სავსეა იარაღით. თუ არ მივიღებთ სერიოზულ ზომებს, გერმანიას მიეცემა საშუალება მძლავრი არმიის შედგენისა.

მუშათა მდგომარეობა ამერიკაში.

მოსკოვი. ჩრდილო ამერიკის ინდუსტრიალურ მუშათა წინამძღოლი გვაცნობს შეერთებულ შტატებში მუშათა კლასის დღევანდელ მდგომარეობას: „არასოდეს ამერიკულ მუშათა მდგომარეობა" ამბობს ამხ. ხეივუტი „არ ყოფილა ისეთი კრიტიკული, როგორიც ამჟამად არის. უმუშევართა რიცხვი ამერიკაში ახლა გაცილებით უფრო მეტია ვიდრე პერიოდული ხშირად გამეორებულ სამრეწველო და ფინანსიურ კრიზისის დროს იყო. დღევანდელი კრიზისი შედეგია კაპიტალისტთა შეთქმულებისა მთელ ქვეყნის მუშათა კლასის წინააღმდეგ. ამ შეთქმულების მიზანია დაწეულ იქმნას მუშა ხელის ფასი იმ ნორმამდე, რომელიც ომამდე არსებობდა. ამ მიმართულებით მოქმედების პირველი ნაბიჯი იყო რკინის მრეწველობის ქარხნებისა და ფაბრიკების ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის, მაღაროებისა და წარმოებებში მუშაობის შეჩერება. ზოგიერთი წარმოება უკვე 1920 წ. ივლისიდან არის შეჩერებული. ამ წარმოებებზე მუშაობის განახლება დამოკიდებულია მუშების თანხმობაზე, რომ მათ დაუკლონ თავის ხელფასს ტეხნიკურ მრეწველობაში 22 პროცენტით, მკერვალთა—37 პროც. და მადნის დამმუშავებელთა—38 პროც. კაპიტალისტები ხშირად განზრახ მოგების გადიდების მიზეზით სპობენ სურსათ სანოვაგის დიდ რაოდენობას. ამავე ხრიკს ხმარობენ მიჩიგანის შტატში, სადაც კაპიტალისტები ყიდულობენ ვაშლის ბაღებს და ვაშლს ალპობენ, რომ განზრახ ასწიონ ვაშლის ფასი, მისი სიმცირის გამო. ნადგურდება აგრეთვე მოსავალი ბრინჯისა და ყავისა იმავე ფასის გადიდების მიზნით. ყველაფერი ეს ამერიკის მუშებს ერთ აზრს უბადებს რომ ამერიკელი კაპიტალისტები თავის მოგებისათვის მზად არიან მოსპონ არა მარტო სურსათ სანოვაგე არამედ თვის მუშებიც კი. ბუნებრივია რომ ისინი იძულებულნი არიან მიმართონ თავის უფლებათა დაცვას. ამერიკელმა მუშებმა თავის დაცვა დაიწყეს.

იარაღი ირლანდიისათვის.

რომი. 18 ივნისი. (რადიო). იტალიელმა საბჭოს აგენტებმა გასამგზავრებლათ გამზადებულ გემზე აღმოაჩინეს დიდძალი სასროლი იარაღი და ყუმბარები. ყველა ეს იგზავნებოდა ირლანდიაში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 32.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტისა, ყოველნაირი ხარისხის ქაღალდის აღრიცხვის შესახებ.

1921 წ. ივნისის 4 ს № 24 ს დადგენილების დამატებად საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1921 წ. ივნისის 4 ს № 24-ს დადგენილების თანახმად, დაარსებულ ქაღალდის სააღრიცხვო და განმანაწილებელ მთავარ სამმართველოს უფლება მიეცეს, გარდა გაზეთისა და წიგნის ქაღალდის აღრიცხვა განაწილებისა, აღრიცხოს და თავის გამგებლობაში მიიღოს აგრეთვე ყოველნაირი სხვა ხარისხის ქაღალდიც.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე,**

1921 წ. ივნისის 24.

თფილისი—სასახლე.

სავალდებულო დადგენილება.

ვინაიდან მეზობელთა არსებულ რესპუბლიკაში გავრცელებულია ხოლერა და ადვილი შესაძლებელია, რომ ის იქმნას შემოტანილი ჩვენს რესპუბლიკაში, ამიტომ განურჩევლად ყველა მოქალაქეს, წითელ არმიელს, მდგმურებს და სახლის პატრონებს:

1. ევალებათ საერთო ძალით სასტიკათ დაცული იქმნას სისუფთავე სახლებში, სადგომებში და ეზოში განურჩევლად ვისაც უნდა ეკუთვნოდეს: წითელ არმიის დაწესებულებას, თუ ნაწილს სამოქალაქო დაწესებულებებს ან კერძო პირებს ყოველნაირი ნაგავი და უსუფთაობა უნდა გროვდებოდეს ეზოში დანიშნულ ადგილას, განსაკუთრებულ ყუთებში ან ორმოებში გასატანად, დასაწვავათ და დასამარხავად, სადაც კი ეს შესაძლებელია. სარეცხის უსუფთაობის გადაყრა გადაქცევა აკრძალულია როგორც ეზოში, ისე წყლის ნაპირებზე და ქუჩებში, დამნაშავე პირადათ პასუხს აგებს ყველა მოქალაქეს, ვინც უნდა იყვეს, უნდა ახსოვდეს, რომ ამ დადგენილების დარღვევით ხელს უწყობს ხოლერის, მუცლის სახადის და მუცელას და სხვა გადამდებ სენთა გავრცელებას.

2. აკრძალულია წყლის ნაპირას, ჭასთან, წყაროსთან, სარეცხის, ხალიჩების, ტანისამოსის და სხვა რამეს რეცხვა. ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ ამ დადგენილების დარღვევით ხელს უწყობს წყლის მოწამვლას: ხოლერით, მუცლის ტიფით, და მუცელათი, რომ ლიდგანაც ადვილად და აუცილებლად გახდება ავად ამნაირ მოუხარშავი წყლის დალევით.

3. ევალებათ ყველა დაწესებულებებს და წარმოებებს ვისიც კი არ უნდა იყვეს, რომელშიაც მზადდება, ინახება და ნაწილდება სასმელ-საჭმელი (სასადილო ფურნე, საკალმახო, და დასარიგებელი დუქნები კერძო, გასტრონომიული მაღაზიები, საჩაიები და სამზარეულოები, მინერალური წყლების ქარხნები და სხ.) პირადათ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი გამგეები და მეპატრონეები თუ არ უგდებენ ყურს სისუფთავეს, სახლისა, ჭურჭლისა, იარაღისა და ავეჯისა, ყურადღება მიაქციონ ხელის და პროფესიონალურ ტანისამოსის სისუფთავეს იმ მომუშავეთ, რომლებიც ამზადებენ და ანაწილებენ სანოვაგეებს, გაუკეთდეს იმ პირთათვის შესაფერისი პირის საბანები. ამის დამრღვევი უნდა გამსჭვალული იყვეს იმ შეგნებით, რომ იმათ ხელის ჭუჭყთან ვინც ამ დაწესებულებებში მუშაობენ ატანენ საჭმელს ხოლერის, მუცლის ტიფის და მუცელის ბაცილებს.

4. აკრძალულია გაყიდვა ყოველნაირი ხორციელობის და სანოვაგეების თახჩებიდან, ურმებიდან და თაბახებიდან.

5. უნდა გადაფარებული იყვეს ყოველნაირი სანოვაგე და ხილეულობა როგორც არის: ხორციელი, თევზეული, პური, ქონი, ხაჭო და ხილი. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ბაცილები ადვილად შეჰყვებიან ამ საჭმელებს ადამიანის კუჭში და გამოიწვევენ ზემოაღნიშნულ სენს.

6. ამ დადგენილების გამოცხადების დღიდან ყველა დაწესებულებებს და წარმოებებს ეკრძალებათ მომზადება და ვაჭრობა აუდუღარ წყალზედ მომზადებულ სასმელებისა (კვასი, ლიმონადი და სხვა) ვინაიდან ჩვენ დარწმუნებული არა ვართ, რომ აუდუღარ წყალში არ მოიპოვებოდეს მუცლის ტიფის, ხოლერის და მუცელის შხამი.

შენიშვნა: სპარსული ლიმონადის და ბოჩკებით კვასის გაყიდვა სრულიად აკრძალულია.

7. ყველა შრომის დაწესებულებებს ევალებათ მიიღონ ზომები რათა მომუშავენი უზრუნველყოფილნი იყვნენ მუშაობის დროს ადუღებული და გაცივებული სასმელი წყლით.

8. ყველა სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებებს და წარმოებებს ევალებათ შეადგინონ სპეციალური კომისიები, რომლების თავმჯდომარეები პასუხს აგებენ ზემოაღნიშნული დაწესებულებების სანიტარულ მდგომარეობის შესახებ.

9) საზოგადო და სამრეწველო ყველა დაწესებულებებში, სადაც კი იკრიბება ბლომად ხალხი, აგრეთვე საერთო ფეხსადგილებში უნდა ხდებოდეს დეზინფექცია ფეხსადგილის და ნარეცხის ორმოებისა დღეში ერთხელ სანიტარულ ზედამხედველობის განკარგულების მიერ.

10. იმ სახლის პატრონებს, რომელშიაც მოიპოვება საერთო ფეხსადგილები, ვალდებულნი არიან იქონიონ ყოველ დღიური დეზინფექციისთვის საკმაო კირი.

11. ყველა საექიმო პერსონალს, დაწესებულებებს და კერძო პირებს ევალებათ დაუყონებლივ აცნობონ ქალაქის და სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებებს, ყველა საეჭვო და ხოლერიან ავადმყოფებზედ შესაფერი საჭირო ზომების მისაღებათ. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ამ დადგენილების დარღვევით ბევრი სხვა მოქალაქე გახდება ხოლერით ავათ, თუ კი დროზედ არ იქნება აღმოჩენილი გინდ ერთი ავადმყოფიც.

12. ყველა ამ დადგენილების დამრღვევი იქნება მიცემული პასუხისგებაში.

ჯანმრთელობის კომისარი კუჭაიძე.

სასანიტრო-საეპიდემიო განყოფილების გამგე ქიქოძე.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე ფინცხავა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დადგენილებანი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან არსებულ საჩივართა და განცხადებათა ცენტრალურ ბიუროს შესახებ.

თანახმად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის რევკომის დეკრეტისა ა. წ. 27 აპრილი № 30 მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან მოწყობილია საჩივართა და განცხადებათა ცენტრალური ბიურო, რომელიც მოქმედობს საჩივართა და განცხადებათა მიღების და განხილვის წესების შემდეგი საფუძვლით:

1. საჩივრები და განცხადებანი მიიღება ბიუროს სადგომში საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქალაქისაგან განურჩევლად, ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე. ხელმოუწერელ საჩივრებს და განცხადებებს ბიურო არ განიხილავს.

2. ბიურო არავითარ გასამრჯელოს არ ახდევინებს მიმსვლელთ ცნობებისა და ახსნა განმარტებისათვის, ბიუროში მისაცემი საჩივრები და განცხადებები თავისუფალია სალერბო და სხვა გადასახადისაგან.

3. საჩივრები და განცხადებები მიიცემა ბიუროში პირადად და ფოსტით, წერილობით და სიტყვიერადაც. სიტყვიერად მიცემულ საჩივარს განმცხადებელი წაიკითხავს ჩაწერის შემდეგ და ხელს მოაწერს, თუ მან წერა-კითხვა იცის. ისეთი განცხადებები კი, რომლებიც შეეხება სახალხო მეურნეობის მართვა-გამგეობის სისტემის შეუფერდებლობის გარდაქმნას ან გაუმჯობესობას, მიიცემა მხოლოდ წერილობით.

4. საჩივრებში და განცხადებებში, შემდეგი ცნობები უნდა იყოს მოთავსებული: მომჩივნის სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი, სიწორით დასახელება იმ პირთა ანუ დაწესებულებათა, რომელთა მოქმედებებსაც საჩივარი შეეხება, იმ გარემოებათა აღწერა, რომლებიც საფუძვლად დაედო საჩივარს საჩივრის დამამტკიცებელ საბუთებისა და მოწმების ჩამოთვლა, საჩივარს ანუ განცხადებას შეიძლება დაერთოს საჭირო საბუთების დედანი ან შემოწმებული მისი პირი, ეს საბუთები საქმეების განვლისას, მსურველთ უკანვე დაუბრუნდებათ. ხოლო ბიუროს საქმეებში რჩება მათი ასლი.

5. განხილული უნდა იყოს ყოველი საჩივარი და ცნობა, რომელშიაც ნაჩვენებია განსაჩივრებული მოქმედებათა კანონშეუწონლობა, მიზანშეუსაბამობა და შეუთანხმებლობა ცენტრალურ ხელისუფლების დეკრეტებთან, განკარგულებებთან და პოლიტიკის საერთო ხაზთან; აგრეთვე საჩივარი ბოროტმოქმედებასა, კანცელარიულ გაჭიანურებასა და უხეშ მოპყრობაზე და სხვა განცხადებები შეიძლება მისცენ არამც თუ დაზარალებულმა პირებმა, არამედ იმ პირებმა და დაწესებულებებმა, რომელთაც არავითარი ზიანი არ მოსვლიათ განსაჩივრებულ მოქმედებათა გამო.

6. სასამართლო დაწესებულებების გადაწყვეტილებათა, განაჩენთა და დადგენილებათა უკანონობაზე საჩივრები არ განიხილება, თუ რომ საჩივარში არ არის პირდაპირ ნაჩვენები მოსამართლეთა ბოროტმოქმედებებზე.

7—ბიუროს არ ექვემდებარება საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის სახალხო საბჭოს დადგენილებებზე საჩივრის განხილვა; ხოლო რაც შეეხება საჩივრებს თვითეულ ცალკე სახალხო კომისრის ანუ სახალხო კომისარიატების უსამართლო, მიზანშეუფერდებელ და კანონშეუწონელ მოქმედებებზე, განკარგულებებზე ასეთები განიხილება ბიუროს მიერ საერთო წესით.

8—საჩივრები იმ ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც მიუყენებიათ მოქალაქეთა ანუ დაწესებულებათათვის თანამდებობის პირებს თავიანთი კანონშეუწონელ ან მიზანშეუფერდებელ მოქმედებებით, ექვემდებარება სასამართლო დაწესებულებათა განხილვას, ხოლო ბიუროში განიხილება მხოლოდ განცხადება თანამდებობის პირთაგან ჩადენილ უკანონო ანუ უსამართლო მოქმედებათა

9—ბიურო აძლევს განმცხადებელს სათანადო ბარათს საჩივრის მიღებისას, ხოლო ფოსტით გამოგზავნილ საჩივარზე ბიურო დაუყონებლივ აცნობებს გამომგზავნელს.

10—იმ განმცხადებელთ, რომელთა საჩივრებს და განცხადებებს არ ექნებათ ბოროტგანზრახვისა და აშკარა ცილის მწამების ხასიათი, ეძლევათ გარანტია სრული ხელუხლებლობისა და თუ მოისურვებენ მათი ვინაობის საიდუმლო შენახვისა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილე ალ. ჟუჟიკაშვილი.

27 მაისი, 1921 წელ.

დებულება.

საჩივართა და განცხადებათა ცენტრალური ბიუროს ადგილობრივი განყოფილებები.

1. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სამაზრო განყოფილებებთან საჩივართა და განცხადებათა ადგილობრივ ბიუროს მოწყობა ევალებათ ინსპექციის საგანგებო რწმუნებულთ, განყოფილებების გამგეთა უახლოეს თანამშრომლობით. უკანასკნელნი ვალდებულნი არიან იმოქმედონ საგანგებო რწმუნებულის ჩვენებით. თუ საგანგებო რწმუნებულნი არ იქნებიან დანიშნულნი, მაშინ ბიუროს მოწყობას შეუდგებიან თვით განყოფილებათა გამგენი,

რუსეთის კომუნისტური პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია 1921 წ. 26—28 მაისამდე.

დღის წესრიგი:

1. ეკონომიური მდგომარეობა.
   ა) სასურსათო გადასახადი.
   ბ) კოოპერაცია.
   გ) წვრილი მრეწველობა.

კონფერენციას ხსნის ამხ. **ლენინი.** არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი 7 კაცისაგან: **ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, პეტროვსკი, ევდოკიმოვი, ნოვოსელოვი და ლანდა.**

შემდეგ ამოირჩიეს:

1) სეკრეტარიატი ც. კ. მდივანთაგან.
2) სამანდატო კომისია.

დამტკიცებულ იქნა რეგლამენტი.

მოხსენება ამხანაგ ლენინისა სურსათო გადასახადის შესახებ.

ამხ. ლენინმა თავის მოხსენებაში წამოაყენა საკითხი სასურსათო გადასახადის შესახებ, იმიტომ რომ ბევრმა ამხანაგმა, რომელთაც მოვლეს რუსეთის სხვადასხვა ადგილები და ნამეტნავად ოსინსკიმ, განაცხადეს რომ სასურსათო გადასახადის პოლიტიკა საკმაოდ არ არის განმარტებული და ბევრს არ ესმისო, ამ განცხადებას მხარი დაუჭირეს ცენტრალურ კომიტეტის წევრებმაც და ამიტომ კონფერენცია მოწვეულ იქმნა ნაადრევად.

სასურსათო გადასახადის ცხოვრებაში გატარება დაამყარებს გარკვეულსა და სწორე დამოკიდებულებას მუშებსა და გლეხებს შორის. იმის დამიუხედავად, რომ გლეხობა დიდ უმრავლესობას შეადგენს, რუსეთის რევოლიუციის პირველ ხანაში პროლეტარიატის დიქტატურა ძალიან მტკიცე იყო სამოქალაქო ომის მეოხებით ესევე სამოქალაქო ომი იყო მიზეზი ცხოვრებაში სურსათის გაწერვის გატარებისა. ერთმევდნენ არა მარტო მოჭარბებულ ნაწილს, არამედ ერთმევდნენ იმაზედ მეტსაც კი, რაც უნდა გადაეხდევინებინათ.

სხვა გამოსავალი არ იყო: თეთრგვარდიელთა მთელი კამპანია, რომლის უმრავლესობასაც შეადგენდნენ ესერები და მენშევიკები, თავის დამარცხების შემდეგ, ყოველ ღონესა ხმარობდა მოეშალა სავაჭრო შეთანხმებანი. თუმცა ძირითადი ხელშეკრულებანი უკვე დადებულია, მათი რიცხვიც თანდათან იზრდება, მაგრამ საზღვარგარეთის დაუხმარებლათ აღდგენა მსხვილი წარმოებისა და საქონლის გაცვლა-გამოცვლისა შეუძლებელია.

სასურსათო და სათბობ ფონდების უქონლობისა გამო წარმოების უმთავრესი დარგები შეჩერებულია და რუსეთი ჯერჯერობით სავსებით დამოკიდებულია წვრილ მეურნეობის, გლეხობაზე.

მრავალი მუშა ჰბაძავს გლეხებს, გამოსარჩენს ეძებს სპეკულიაციასა, მტაცებლობასა და კერძო წარმოებაში. ეს ლენინს მიაჩნია დიდ საფრთხეთ საბჭოთა მთელი წეს-წყობილებისათვის და და ამიტომ მთავრობა დათმობაზე წავიდა. მაგალითად. დეკრეტი პრემიების მიღების შესახებ ე. ი. მუშათა და გლეხთა ეკონომიურად გათანაწორება.

სასურსათო გადასახადი უნდა გატარდეს ფრთხილად, საჩქაროდ და საჭირო სურსათი გამორთმეულ უნდა იქმნას პირნახულის აკრეფის დროს.

საქონლის გაცვლა გამოცვლა უნდა მოხდეს მსხვილ წარმოების განუწყვეტელ ღონისძიებით. ამხ. ლენინის აზრით, ძუნწობა საჭირო არ არის. ისა სჯობს, რომ რამდენიმე მილიონი ზედმეტი გადავუყოლოთ საზღვარ-გარეთელ კაპიტალისტებს, ოღონდ კი რიგიანი მანქანები და მასალა მივიღოთ, პროლეტარიატის ეკონომიურ ბაზის აღსადგენათ. მეორე მხრივ გლეხებს უნდა მიეცეთ ფართე ასპარეზი წვრილი წარმოებისათვის.

დასასრულ ლენინი ურჩევს ადგილებში მოიქცნენ გაბედულად და იმოქმედონ დამოუკიდებლივ, ვინაიდან მსხვილი წარმოების ყველა წყაროები პროლეტარიატის ხელშია და წვრილ, საშუალოდ მომქმედო, წარმოებაზე დამყარებული კაპიტალიზმი საშიშროებას აღარ წარმოადგენს.

ამხ. ლენინმა აღნიშნა ყრილობის ნაკლიც. ყრილობაზე უმთავრესი ყურადღება მიქცეული ჰქონდა თეზისებს, საერთო პროგრამებსა და მსჯელობას და არა იმას, რომ ყრილობის მონაწილეთ გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის დაბაქალაქად მიღებული შთაბეჭდილებანი და გამოცდანი რათა უკანვე დაბრუნებისას თვითონაც ზურგ გამაგრებულნი ყოფილიყვნენ და სხვებისთვისაც ესწავლებინათ რამე.

მოხსენება ამხ. მილიუტინისა.

ც. კ. ამოარჩია კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა გადასახადის აკრეფის ძირითადი პრინციპები და პროექტი ამ გადასახადის პრაქტიკულად გატარებისა.

პურის გადასახადის საკითხში დადგენილია მინიმალური ციფრი, რომელიც უდრის 240 მილიონ ფუთს საშუალო მოსავლის დროს.

ამასთანავე შემუშავებულ იქნა განსაზღვრული ნუსხა, თუ რა გვარად უნდა აიკრიბოს პურის გადასახადი. თავისუფალ ვაჭრობის საკითხში კომისიამ გააუქმა მონოპოლია და ნება დართო თავისუფალ ვაჭრობისა, მხოლოდ შეზღუდულ იქნა ზოგიერთი უფლებანი. ვაჭრობა მარტო იმას შეუძლია, ვისაც გადასახადი სავსებით ექნება გადახდილი.

ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ძირითადი პრინციპები, კომისიის მიერ დამუშავებულნი. ამ კომისიამ საშუალება მისცა სასოფლო სამეურნეო ხელსაქმის კოოპერაციას დამოუკიდებლად განვითარებისა. ამავე კოოპერაციას უფლება მიეცა იქონიოს თავისი დაწესებულებანი და დაიჭიროს საქმე სხვა და სხვა სახის კოოპერაციებთან.

წვრილ მრეწველობის შესახებ ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმა უნდა მოახდინონ რეგისტრაცია და უფლება მიეცეთ მათ იჯარით აიღონ ხოლმე ისეთი საქმეები, რომელთა იჯარით გაცემაც სასარგებლო იქნება.

მოხსენება ამხანაგ. ხინჩუკისა.

მის მოხსენებას აქვს წმინდა პრაქტიკული ხასიათი კოოპერაციისა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხანებში კოოპერაცია სუსტად ვითარდებოდა, მაგრამ ომის პერიოდის შუიდან კოოპერაცია იჭერს მესამე ადგილს და, სტრიალებულ თანხის მიხედვით, ჩამოუვარდება მხოლოდ ინგლისსა და გერმანიას.

საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი მიზანი იყო—საერთო კოოპერაციიდან გამოეყო მუშათა კოოპერაცია და გაეხსნა მისთვის გზა თავისუფალ განვითარებისა, რათა საბჭოთა ხელისუფლებას საშუალება მისცემოდა სავსებით დაყრდნობოდა ამ კოოპერაციას. ეს ერთით უკვე შესრულებულია: ცენტრო კავშირის რწმუნებულთა საბჭო თითქმის წმინდა კომუნისტურია, კოოპერაციას ევალება უდიდესი მუშაობა, მაგალითად, საქონლის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ უნდა შეიკრიბოს იმდენივე სანოვაგე, რამდენიც სასურსათო გარდასახადით. კოოპერაციას ნება აქვს შექმნას ის ღირებულებანი, რომელიც საჭიროა სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის, მაგრამ ამას უნდა გაეწიოს სახელმწიფო ორგანოთა სასტიკი კონტროლი. თავის მოხსენებას ამხ. ხინჩუკი ათავებს რწმუნებულთა საბჭოს ლოზუნგით:

„მთელი ძალღონე კოოპერატიულ მუშაობის და აუცილებელი რეალური ეფექტი საბჭოთა კოოპერატიულ მუშაობიდან". ამ მოხსენების შემდეგ გამოდის ამხ ტალჰეიმერი, თავმჯდომარე გერმანიის შეერთებულ კომუნისტურ პარტიისა და ამბობს მისასალმებელ სიტყვას.

მოხსენება ამხ. სვიდერსკისა.

გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლამ გამოიწვია, ახალი ფორმა გადახდევინებისა და სასურსათო კომისარიატს წაართვა ბევრი დრო და შრომა, რათა შედეგად მიეღო განმარტება მრავალი დეკრეტისა.

დეკრეტების განმტკიცების დროს საყურადღებო კითხვად აღმოჩნდა შემდეგი: ვინ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი გადასახადთა განაწილებაში და მიღებულ იქნა ასეთი დებულება: ხარისხს მოსავლისას რესპუბლიკის თითოეულ მაზრაში აწესებს სახალხო კომისართა საბჭო. ოლქის მოსავალს—საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი, ოლქის აღმ. კომიტეტი და სასოფლო საბჭო.

ამგვარად, არიდება გადაჭრილი საზღვარი, რომელსაც ვერ გადასცილდ ბიან ვერც ხარჯის გაშლებნი და ვე ადგილობრივი ორგანოები.

გადასახადი ჯერ ჯერობით იკ ძველებურ, იძულებითი წესით. ტებში განმარტებულია როგორც დენობა გადასახადისა, ისე წესი გ დევინებისა. მოხსენების დასასრულ ხსენებელი მიჰმართავს ამხ. ნაგებ მოუწოდებს მათ საშველად, რათა დგენილ იქმნას დანგრეული აპპარა მისი ცენტრალიზაცია და გადასახად დიქტატურა ისეთივე ძლიერი იყო როგორიც იყო გაწერის პერიოდში.

მოხსენება ამხანაგ პრეობრაჟენსკისა ფინანსიურ საკითხებზე.

საზოგადოდ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში კრიზისებისა და ომიანობის დროს იბეჭდება ხოლმე დიდძალი ქ ლალდის ფული. ასე იყო მეფის რუს ში, ასე იყო კერენსკის დროსაც ესევე საჭირო შეიქმნა აგრეთვე საბჭ თა რუსეთისათვის, მაგრამ სასურსა სახლხო კომისარიატის წილის გადი ბასთან შემცირდა წილი საფინანსო სა ხალხო კომისარიატისა.

იხელმძღვანელებენ რა მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტის დეკრეტის 3 მუხ. „ე“, საჩივართა ბიუროს შესახებ ინსტრუქციებით (დებულება ცენტრალურ ბიუროს შესახებ) და ქვემოდ აღნიშნული წესებით.

2. ადგილობრივი ბიუროების ინსპექციის სამაზრო განყოფილებებთან არსდებიან როგორც დამოუკიდებელი ქვეგანყოფილებები, რომელთაც სათავეში უდგას სპეციალური გამგე, რომელსაც ირჩევენ ადგილობრივ პარტიულ პროფესიონალურ ორგანიზაციის რეკომენდაციით წარმოდგენილ პირთაგან; უკანასკნელი მტკიცდება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ, თუ ეს ორგანიზაციები ადგილობრივ არ მოიპოვება, მაშინ ისეთ პირთაგან, რომელნიც პარტიულ თუ პროფესიონალურ მოთხოვნილებებს შეეფერებიან.

ბიუროს მუშაობაში უახლოესი მონაწილეობის მისაღებად ბიუროს გამგემ აუცილებლად უნდა მოიწვიოს წარმომადგენლები მუშათა და გლეხთა ადგილობრივ ორგანიზაციების.

3. იმ საჩივრების შესახებ, რომლებიც არ შეეხებიან საბჭოთა ორგანოების ბოროტ ან უწესო მოქმედებებს, არამედ გამოსთქვამენ საერთო უკმაყოფილებას საბჭოთა აპარატის ამა თუ იმ მხარის შესახებ, ბიუროს გამგე უკმაყოფილების გამომწვევ დაწესებულებიდან მოითხოვს მიზეზების ახსნა-განმარტებას, რის მოკლე შინაარსსაც აცნობებს მომჩივანს, თვით საქმეს კი მთელი მასალებით გზავნის საჩივართა ცენტრალურ ბიუროში. თუ წარმოდგენილი ახსნა-განმარტება არ იქნება ცნობილი დამაკმაყოფილებლად ბიუროს გამგის მიერ, ის საჩივრებს გადასცემს გამოსაძიებლად ინსპექციის სათანადო დაწესებულებას.

4. ის საჩივრები, რომელნიც შეეხებიან მთავრობის ამა თუ იმ წარმომადგენელთა უკანონო ან უწესო მოქმედებებს, ეცნობება უკანასკნელთა ხელმძღვანელებს გამოსაძიებლად და აგენტთათვის მათი უწესო მოქმედებების ასახსნელად; თუ აგენტთა მოქმედებებში აღმოჩნდება ელემენტი ბოროტ განძრახვისა ან დანაშაულობისა—ხელმძღვანელნი ვალდებულნი არიან დამნაშავენი სამართალში მისცენ და თვითვე მიიღონ ზომები მათი მოქმედებებით გამოწვეული ცუდი შედეგების ასაშორებლად.

5. ის საჩივრები, რომლებიც შეეხება ცალკე საბჭოთა ორგანოების უწესო მოქმედებებს (დეკრეტების შეუსრულებლობა, საბჭოთა ცენტრალურ ხელისუფლების პოლიტიკური კურსის დარღვევა და სხვ.), საჩივართა ადგილობრივ ბიუროში არ მიიღება შესასრულებლად და გადაეგზავნება საჩივართა და განცხადებათა ცენტრალურ ბიუროს. თუ ცენტრალური ბიურო საჭიროდ არ დაინახავს მფრინავი რევიზიის დანიშვნის ან სხვა რამ ზომების მიმართვას კანონიერი წესიერების აღსადგენათ, მას შეუძლიან წინადადება მისცეს ინსპექციის ადგილობრივ განყოფილებას დანიშნოს რევიზია ან მოახდინოს გამოძიება. ისეთს შემთხვევებში, როდესაც დაყოვნება შეუძლებელია ადგილობრივ ბიუროს გამგემ ცენტრალურად ბიუროში საჩივრის შინაარსის გადაცემასთან ერთად თვითონ უნდა მიიღოს ზომები საჩივრის შესამოწმებლად და, თუ აღმოჩნდებიან დამნაშავენი უკანონო მოქმედებებში, წინადადება უნდა მისცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს სასწრაფოდ დანიშნოს განსაჩივრებულ დაწესებულების რევიზია.

6. საჩივართა და განცხადებათა ადგილობრივ გამოძიების ყველა შემთხვევის დროს გამომძიებელი აუცილებლად იწვევს დამხმარე რწმუნებულებს ადგილობრივ მშრომელთა წრიდან.

7. საჩივრებისთვის მსვლელობის მიცემასთან ერთად ბიუროს გამგე თვალყურს ადევნებს, რომ მიღებულ იქნეს ზომები მომჩივნის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რისთვისაც დამოკიდებულებას იჭერს იმ პირთა თუ დაწესებულებებთან, რომელთა მოქმედებასაც საჩივარი შეეხება, განსაჩივრებულ მოქმედების შესაჩერებლად თუ სისრულეში მოყვანის გადასაცემად.

8. ისეთს შემთხვევებში, როცა საჩივარი შეეხება განსაკუთრებით საყურადღებო ბოროტ-მოქმედებას, რომელსაც აქვს არა მარტო ადგილობრივი, არამედ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ან როცა ბიუროს გამგე დაინახავს, რომ საქმის გარემოებათა გამო ადგილობრივი ძალებით შეუძლებელია საჭირო შედეგების მიღწევა, მთელს საქმეს საკუთარი ახსნა-განმარტებით გზავნის საჩივართა ცენტრალურ ბიუროში. ცენტრალურ ბიუროშივე ეგზავნება ისეთი საჩივრები, რომელთა შესახებ გამოძიება უნდა სწარმოებდეს ინსპექციის იმ განყოფილების გავლენის ტერიტორიის გარეშე, სადაც ადგილობრივი ბიურო არსებობს.

9. საჩივრებში აღნიშნულ მოვლენათა და ფაქტების უფრო მთლიანად გაშუქების მიზნით ბიუროს გამგეს უფლება ეძლევა მოსთხოვოს საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოსა თუ დაწესებულებას მოაწოდოს მას აუცილებელი ცნობები, მასალები, დადგენილებები, ოქმები და სხვა.

10. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს და დაწესებულებებს, საჩივრის გამო დამოკიდებულების დროს ბიუროს გამგე აუცილებელ პირობათ უყენებს, რომ დაუყონებლივ მიიღონ საჭირო ზომები და ამის შესახებ საჩქაროდ აცნობონ ბიუროს. მოთხოვნის დაყოვნებისა ან შეუსრულებლობის ყველა შემთხვევას ბიუროს გამგე აცნობებს ცენტრალურ ბიუროს, თვით კი ღებულობს ზომებს საჭირო შედეგების საკუთარი ძალებით მისაღწევად.

11. საჩივართა გადასაწყვეტად აუცილებელ მასალების (განმარტებების, საბუთების, გამოძიებათა ოქმების და სხვა) მიღების შემდეგ ბიუროს გამგე რწმუნდება მართლაც თუ გაკეთდა ყველაფერი საჩივარში აღნიშნულ მოვლენათა თავიდან ასაცილებლად და თუ როგორი შედეგებია მიღებული; თუ ბიუროს გამგე დაინახავს, რომ საქმის შესახებ სხვა რამ ნაბიჯების გადადგმა აღარაა საჭირო, შედეგს აცნობებს მთხოვნელს; მაგრამ თუ კი გამგე წარმოდგენილ მასალებში დაინახავს გაურკვევლობას ან საქმის სრული გამოკვლევიდან გადახვევას მაშინ ზომებს ღებულობს ნაკლის შესავსებად.

12. ბიუროს გამგე ვალდებულია მომჩივანს ყოველგვარ შეკითხვაზე მისი საქმის მდგომარეობის შესახებ დაუყონებლივ მისცეს სრულიად სწორი და გარკვეული პასუხი.

13. ბიურო უნდა აწარმოებდეს ყველა ახლად მიღებულ საჩივრის სასტიკ რეგისტრაციას, და აწესრიგებდეს მათ დაწესებულებათა და ორგანოების მიხედვით. ყოველთვიურად ამ ცნობათა მიხედვით სდგება ცნობები აქვე დართული ფორმით, ცენტრალურ ბიუროში გადასაგზავნად და ადგილობრივ ბეჭვდითი ორგანოებში ყველას უყურადღებოთ გამოსაქვეყნებლად.

14. საჩივრების გამოძიების დროს წინააღმდეგობის გაწევისა თუ ხელის შეშლის ყოველ შემთხვევას ბიუროს გამგე სასწრაფოდ აცნობებს საჩივართა ცენტრალურ ბიუროს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილე **ალ. ჟუჟუნაშვილი.**

დანართი § 13.

ყოველთვიური ცნობების ფორმა.

წელიწადი, თვე, რიცხვი. საჩივართა ბიუროს განყოფილების დასახელება. თვის განმავლობაში შემოსულ საჩივართა საერთო რიცხვი.

ა) **საჩივართა საგნები:** ა. სამხედრო ხელისუფალთა თვითნებობა; ბ. მიწის კომიტეტები; გ. განსაკუთრებული გადასახადი, დ. რეკვიზიცია და კონფისკაცია; ე. სასურსათო საქმე; ვ. უკანონო ჩხრეკა და დატუსაღება; ზ. ტრანსპორტის ნაკლი; თ. სასკოლო არევ-დარევა; ი. კანცელარიული გაჭიანურება.

ბ. **ვის უჩივოდნენ:** ა. საგანგებო კომისია; ბ. სამხედრო ხელისუფლება; გ. რკინის გზა; დ. სასურსათო ორგანოები; ე. სასოფლო კომიტეტები; ვ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და სხვ.

გ. **საჩივართა მოძრაობა:** ა. დარჩა წარსული თვიდან; ბ. განხილულ იქნა; გ. წარმოებაში.

დ. **საჩივართა შედეგები:** ა. დამნაშავე პირთა სამსახურიდან დათხოვნა; ბ. აღიძრა საკითხი სამართალში მიცემის შესახებ; გ. გაეგზავნა სასამართლო დაწესებულებებს.

ქრონიკა

◆ **ბრძოლა ეპიდემიებთან.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან დაარსებულია კომისია სასწრაფო ზომების მისაღებათ მოარულ სენთა წინააღმდეგ. კომისიის შემადგენლობაში შედიან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, ქალაქის ჯანმრთელობის განყ., შრომის სახალხო კომისარიატისა და დაზღვევის სალაროს წარმომადგენლები.

◆ **სურსათ ხანოვაგე.** მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გადასცეს, სესხის სახით, ტაბახმელის შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურის მოსამსახურეთ 8 მილიონი მანეთი სურსათ-სანოვაგეს საჭიროებისათვის.

◆ **ქართული დრამა.** დღეს, 28 ივნისს სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქნება „ირინეს ბედნიერება“ დავ. კლდიაშვილისა და „როს ნადიმობდენ“ შალვა დადიანისა. მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი სრულ 8 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

მზადდება „გადაქრილი მუხა“ ვ. შალიკაშვილისა და „პატარა კახი“ აკაკისა.

◆ **საავადმყოფო კასები.** კასის ყოველმა მონაწილემ, რომელსაც საექიმო დახმარება ესაჭიროება, უნდა მიმართოს საავადმყოფო კასის სამკურნალოს: 1) დიდ ვანქის ქ. დილ. 10—1 საათ. 2) ელისაბედის ქ. № 166 საათ. 4—7, 3) კბილების ცენტრალურ სამკურნალო დ. 10—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

◆ **ამერიკული ტანსაცმელი.** ამერიკული ტანსაცმელის დამრიგებელი კომისია აცხადებს, რომ თხოვნები ტანსაცმელის მისაღებათ მიიღება მხოლოდ ოთხშაბათობით 9—2 საათ. ცნობების მიღება კი შეიძლება ორშაბათობით, სამშაბათობით, პარასკევობით 10—1 საათ.

◆ **ბოტანიკური ბაღი.** მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დარაჯთა შტატის შემცირების გამო დაადგინა: მოქალაქეთ ნება ეძლევათ ბაღში შესვლისა კვირის განმავლობაში ყოველ დღე 3—7 საათამდის, ექსკურსიების გამონაკლისით.

◆ **ბერძნების ევაკუაცია.** აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ ბერძნების თავის სამშობლოში დაბრუნებაზე ბერძენთა ეროვნულ კრების შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს რევკომის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად საქ. ცენტრ. საევაკუაციო განყოფილებასთან შესდგა სპეციალური კომისია.

თეატრი და ხელოვნება

„ქრისტინე“

შაბათს, 25 ივნისს, სახელმწიფო დრამის თეატრში ქართულმა დასმა წარმოადგინა ეგ. ნინოშვილის—„ქრისტინე“. პიესა დადგმული იყო ძველი მიზანსცენებით და მონაწილენიც თითქმის ყველა ნაცნობი. ამიტომ მოკლეთ შევეხებით მხოლოდ პიესის ორი უმთავრეს ფიგურას:

ან. ქიქოძემ (ქრისტინე) ლირიული განცდით და როლის სრული შეგნებით თითქმის უნაკლულოდ [illegible] „ქრისტინეს“ ტიპი. განსაკუთრებით ძლიერი იყო: როცა [illegible] ნითა და არაყით ხმა მოხარშული, სახე დაბეჟილი და დაშლილ ტანის ზარბაცით შემოდის ორთაჭალის ერთს სამიკიტნოში. და უფრო: როცა წარსულს იგონებს და ამ დროს უეცრად ნახულობს მამას და შვილს, აქ მისი უტყუარი ტემპერამენტით გამგმირავი ძახილი: „მამავ, მამავ“ და „შვილო გოგი“—იშვიათი პათოსით იყო განსახიერებული.

რაც შეეხება დათიას, რომელსაც ასრულებდა ალ. წუწუნავა, სამწუხაროდ ვერ იყო დამაკმაყოფილებელი, უკანასკნელ მოქმედებაში მაინც, სადაც ბრმა მოხუცის წინათგრძნობის სიმახვილეა საჭირო და სასოწარკვეთილების უნარი, ხმას ტკივილებით მეტი ატირება და სიტყვებთან ფიზიკური სახეობის ორგანიულობა—წუწუნავა ვერ სწვდებოდა როლის სიმაღლეს. ამავე მოქმედებაში შესანიშნავი იყო ვერიკო ანჯაფარიძე (უსიტყვო როსკიპი) რომლის ტანის ურცხვი მოქნილობა ცეკვის დროს ნათელი ნიშანი იყო მთვრალი როსკიპის ლტოლვილების.

აგრეთვე მესამე მოქმედებაში საროსკიპოში, ყველასაგან განირჩეოდა თავის ზომიერი ქცევით და გრიმით—ჩაგუნავა, სპარსელ სტუმრის უხმო როლში, რომელიც საინტერესო ფიგურა იყო საერთო ორგიულ ცეკვისა და სიმღერის დროს.

X.

ფოსტა-ტელეგრაფის-ტელეფონის და რადიო-ტელეგრაფის კურსების გარშემო

აქ მე ზედმეტად მიმაჩნია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს საკაცობრიო იდეალებისა და პროგრესისათვის ტელეგრაფ-ტელეფონისა და რადიო-ტელეგრაფის საქმეს, რადგან დღეს ყველასათვის საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ეს ის რეგულიატორია სახელმწიფო აპარატისა, რომლის საშუალებითაც იმართება, როგორც მისი სამშენებლო მექანიზმი, ისე მისი სახალხო მჭიდრო კავშირის საქმე.

ტელეგრაფ-ტელეფ. და რადიო-ტელეგრაფის საქმეთა სახელმწიფოში მოშლა, ეს იქნებოდა სასიკვდილო ჭრილობა, როგორც სახელმწიფოებრივ წესწყობილებისა ისე თვით ერისაც, ამიტომ ერთი წუთიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტელეგრაფ ტელეფ. და რადიო-ტელეგრაფის საქმე ჩვენში იდგეს თავის ტეხნიკურ სიმაღლეზე. ეს თუ ასე იქნება ამ კულტურულ გრდემლზე ყოველთვის გამოსჭედავთ, როგორც რევოლიუციონური პროცესით გამარჯვებას, ისე სოციალური შემოქმედებასა და სხვა. დღესდღეობით კი ეს არ შეიძლება ითქვას, რადგან ამ მხრივ ჩვენ ძალიან ბევრი რამ გასაკეთებელი გვაქვს და საჭიროა ამოძრავება მთელი ცოცხალი ძალების გათკეცებული ენერგიით, რომ ომიანობის დროს დაშლილ-დანგრეული რესპუბლიკის სახალხო კავშირ ქსელები აღდგეს თავის ტეხნიკურ ფარგლებში და შემდეგ შევეცადოთ მისი თანდათანობით ფართე მასშტაბით განვითარებას.

ამ მხრივ უკვე გადაიდგა ორი შესანიშნავი ნაბიჯი ტელეგრაფ-ტელეფ. და რადიო-ტელეგ. ხელისუფლების მიერ ტერიტორიის სამუშაო უბნებად დაყოფისა და მოსამსახურეთა მობილიზაციის სახით, მხოლოდ საჭიროა გავარჩიოთ ერთიც და მეორეც, თუ რა მოგვიტანა მეორე ნაბიჯმა და რას მოგვიტანს პირველი, რომ თავიდან ავიცილოთ საქმისათვის მავნებელი დეფექტები, ავიღოთ პირველი—მთელი ჩვენი ტერიტორია დაიყო 10 სამუშაო უბნათ,—აქედან სამი უბანია აღმოსავლეთ საქართველო და 7 დასავლეთი, თითო უბანს ყავს თითო პასუხისმგებელი მექანიკოსი ორი თანაშემწით, სადაც შედის მთელი რიგი მაზრებისა და ზოგში ოლქიც. მაგალითისათვის ავიღოთ მე-10 უბანი, ამ უბანს ეკუთვნის მთელი ბათუმის ოლქი, ნაწილი არტაანისა და მთელი გურია. აქ მომუშავე მექანიკოსი, როდესაც ის ერთი მიმართულებით აწარმოებს მუშაობას ცხადია ვერ გასწვდება ასეთ უზარმაზარ უბანს და ამით კი საგრძნობლად შეფერხდება ხაზების თავის დროზე შეკეთების საქმე. ასეთივე მდგომარეობაშია დანარჩენი უბნებიც, და ჩემის ფიქრით უფრო გაცილებით მეტს ნაყოფს მოგვიტანდა, რომ თითო უბნად დაგვესახა თითო მაზრა და მაშინ უბნის მექანიკოსსაც მეტი მოეთხოვებოდა. თუ ეს ასე იქნება მაშინ დაგვჭირდება ჩვენ სპეციალისტ-ტეხნიკ მექანიკოსთა რიცხვის გამრავლება, რომლითაც ჩვენი უწყება ძალიან ღარიბია. ამიტომ სწორედ მოსაწონია ჩვენი ახალი ხელისუფლების მიერ ტელეგრაფ-ტელეფ. და რადიო-ტელეგრ. ტეხნიკური კურსების დაარსება, რომელიც მათ განუზრახავთ.

ამ ჟამად დიდი მუშაობა სწარმოებს საფინანსო განყოფილების გარდასაქმნელად და გასაუმჯობესებლად.

დიდძალი ფულის დაბეჭდვის შესახებ,—რომელი ფულითაც უნდა გვეყიდნა ყველა საჭირო სურსათი და მერე მიგვეტოვებინა ფინანსიური სისტემა, როგორც ჰფიქრობდა ზოგიერთი ამხანაგი, ამ ჟამად ლაპარაკიც მეტია.

ასეთი ზომის მიღება შეიძლება მხოლოდ მსხვილი წარმოების დროს და აგრეთვე რევოლიუციის გათავებისას გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, იმიტომ რომ რუსეთი სამეურნეო ქვეყანაა და იგი იძულებულია კონტაქტში იყოს წვრილ წარმოებასთან.

ისმება საკითხი—როგორ უნდა შევინახოთ ის ჯამი—200 მილიონი მანათი, რომელიც მივიღეთ ემისიისაგან. ბურჟუაზიულ სპეცებისაგან ამ ფულის მიღება დაკმაყოფილებული არ იქნება, მაშასადამე, სპეციც შეიძლება იყოს მხოლოდ კომუნისტი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შენახვა რუსეთში ემისსიისა და გატარება განსაზღვრულ ფინანსიურ რეფორმისა, რომელიც გამოიხატება შემდეგში: უნდა გამოშვებულ იქნას ახალი ფული, ახალი მანათიანები, თითო მთელი მანათი არ უნდა ჩამოუვარდებოდეს ათასს დღევანდელს, პირიქით, უნდა სჯობდეს კიდეც მას. ეს სისტემა გაცვლა-გამოცვლისა ხდება განსაზღვრულ დროის განმავლობაში და განაწილდება რა მთელ რუსეთზე იმისდა მიხედვით, თუ რა ჯამს მიიღებს ყველა ეს ქალაქები, დაიწყოს ეს ოპერაცია.

დასკვნითი სიტყვა ამხანაგ ლენინისა.

თავის უკანასკნელ სიტყვაში ამხანაგმა ლენინმა აღნიშნა რა ის შეცდომინი, რომელნიც დაუშვეს სიეზდზე ამხანაგებმა, გამოიყვანა შემდეგი დასკვნა:

„თუ კომუნისტურ პარტიის მთელ მუშაობას შევადარებთ ოთხ წლიან კურსებს უმაღლესი მეცნიერებისას, მაშინ ჩვენი მდგომარეობა უნდა აღვნიშნოთ შემდეგ ნაირად: ჩვენ ვიჭერდით გამოცდებს მესამე კლასიდან მეოთხეში გადასასვლელად. თუ დავითვლით კურსებს, მაშინ პირველი კურსი იყო წარსული საუკუნის ორმოციან წლებიდან 1903 წლამდე. პირველი გამოსაცდელი პერიოდი: „ნაროდოვოლჩესტვო“—სოციალ-დემოკრატია—ინტერნაციონალი და კომუნიზმი.

მეორე კურსი 1903 წლიდან 1914 წლამდე, როცა დაგვჭირდა დიდი მეცადინეობა რევოლიუციის მოსამზადებლად და პირველი ცდა რევოლიუციისა 1905 წ.

მესამე კურსი 1917 წლიდან 1921 წლამდე. მეოთხე კურსი—ჩვენ კარგად უნდა გავიაროთ და მაშინ უძლეველნი ვიქნებით.

თუ ჩვენ გლეხობასთან დამოკიდებულებაში გავიმარჯვეთ და ამ წელს შევქმენით დიდ ჰიგიენურ ულუფას,—ეს იქნება მესამე კურსიდან მეოთხეში გადასასვლელი გამოცდა.

ამხ. ლენინის სიტყვის შემდეგ წაკითხულ იქნა რეზოლიუცია.

რეზოლიუცია რუს. კომ. პარ. საგანგებო კონფერენციისა.

26—28 მაისი 1921 წ.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის საკითხების შესახებ.

1. მომენტის ძირითადი პოლიტიკური დანიშნულება არის სრული შეთვისება და სწორი გატარება ცხოვრებაში ყველა პარტიულ და საბჭოთა მუშაკების მიერ ახალ ეკონომიურ პოლიტიკისა.

ამ პოლიტიკას პარტია აღიარებს ნაყოფად ხანგრძლივი, წლობით ნაფიქრ ნაზრევისას და მოითხოვს ყველასაგან, რომ პოლიტიკა იგი გატარებულ იქმნას ცხოვრებაში უნაკლულოთ და კეთილსინდისიერად.

2. პირველ რიგში სდგას საქონლის გაცვლა-გამოცვლა, როგორც ძირითადი აზარმაცი ახალ ეკონომიურ პოლიტიკისა. სწორი ურთიერთობა პროლეტარიატისა და გლეხობისა, და შექმნა ეკონომიურ კავშირის ყოვლად მტკიცე ფორმისა ამ ორ კლასის შორის კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასავლელ პერიოდში შეუძლებელია, თუ არ დაწესდა სისტემატიური გაცვლა-გამოცვლა საქონლისა, ან სურსათისა მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის. კერძოდ განხორციელება საქონლის გაცვლა გამოცვლისა საჭიროა, როგორც წაქეზება, როგორც სტიმული, გლეხთა მიერ სახნავ სათესის გაფართოებისა და საგლეხო მიწად მოქმედების გაუმჯობესებისა.

შრომის მოყვარეობა და დამოუკიდებლობა მხვნელ-თესველთა, რაითაც უნდა დაჯდეს, უნდა წაქეზებულ და გაფართოებულ იქმნას.

ის გუბერნიები, სადაც უდიდესი რაოდენობა მოჭარბებული პირნახულისა, უნდა ჩაითვალონ დამკვრელებად, პირველ ყოვლისა, აქ უნდა გაჩაღდეს საქონლის გაცვლა გამოცვლა.

3. კოოპერაცია, ითვლება რა ძირითად აპარატად საქონლის გაცვლა გამოცვლის საქმეში, აღიარებულ იქმნას მართებულ პოლიტიკად სასურსათო კომისარიატის ორგანოების მიერ, კოოპერაციის ორგანოებთან ხელშეკრულობის დადება და გადაცემა პირველთაგან მეორეთადმი საქონლის გასაცვლელ - გამოსაცვლელ ფონდებისა საბჭოთა მთავრობის განზრახვათა აღსასრულებლად, ამავე მთავრობის კონტროლის ქვეშ.

მიეცეს კოოპერატივებს სრული შესაძლებლობა საქონლის დამზადებისა და ადგილობრივ მრეწველობისა და, საზოგადოდ, მეურნეობის განვითარებისა.

ხელი შეეწყოს კოოპერაციების საკრედიტო ოპერაციებს.

ბრძოლა ანარქიულ გაცვლა-გამოცვლასთან (ე. ი. სახელმწიფოებრივ კონტროლს რაც თავს დააღწევს) დაევალოს კოოპერაციას მისდამი საქონლის გადაცემით, ისე კი, რომ არ შევიწროვდეს თავისუფლება კერძო სწორი ვაჭრობისა.

მასვე დაევალოს შესწავლა ბაზრისა.

4 ხელის შეწყობა წვრილ და საშუალო ისეთ წარმოებათა (კერძო და კოოპერატიულ), რომელთაც არა სჭირიათ გატანა ნედლი მასალისა, სათბობისა და სურსათისა სახელმწიფო მომარაგებიდან.

მიეცეთ იჯარით კერძო პირებს, კოოპერატივებს, არტელებს და ამხანაგობათ სახელმწიფო წარმოებანი. მიეცეთ უფლება ადგილობრივ სამეურნეო ორგანოებს დასდონ ხოლმე ხელშეკრულება უმაღლეს ორგანოების დაუკითხავად. აუცილებლად ეცნობოს საშრომო საბჭოს (Сто ს) ყველა ასეთი შემთხვევა.

5. გადასინჯვა (ზოგიერთ ნაწილში) მსხვილი მრეწველობის საწარმოვო პროგრამებისა და მიღება ყოველივე ღონისძიებისა, რათა დამზადებულ იქმნას აუცილებელი და გლეხთათვის სახმარებელი საგნები.

გაფართოება თითოეულ მსხვილ წარმოების დამოუკიდებლობისა და ინიციატივისა ფინანსიურ საშუალებათა განკარგულებისა და მატერიალურ რესურსების შეძენის საქმეში, შეტანილ იქმნეს სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად სათანადო ზედმიწევნითი დადგენილებანი.

6. გაფართოვდეს ნატურ პრემიის სისტემა და ცდისათვის მოეწყოს კოლექტიური მოწოდება.

დაწესდეს უფრო სწორი განაწილება სურსათისა შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად.

7. საერთო გადასახადის ყველგან და სავსებით ასაკრებ აპარატის დაცვა და გაძლიერება, რისთვისაც სასურსათო გადასახადთა, ორგანოებს მიენიჭოთ პარტიულ ავტორიტეტით მეტი უზრუნველყოფა. დაცვა და გაძლიერება სასურსათო გადასახადთა აპარატის ცენტრალიზაციისა.

8. ყველა ზემოდ აღნიშნულ ზომების თავის მოყრა ამ წელში პრაქტიკულ მუშაობისათვის შეკრებილ იქმნეს პურის ფონდად არა ნაკლებ 400,000,000 ფუთისა, როგორც ბაზა მსხვილ წარმოების აღსადგენათ და ელექტროფიკაციის გეგმის განსახორციელებლად.

9. პრინციპიალურად მიღებულ იქნეს ნაკაზის პროექტი საშრომო საბჭოისა (Сто). დაევალოს სრულ. რუს. ცენტრ. კომ. ფრაქციას გადააქციოს იგი კანონად.

პარტიის აუცილებელ და პირველ ხარისხოვან მიზნად დასახულ იქმნეს უმტკიცესი ასრულება ამ ნაკაზისა, საზოგადოდ, და განსაკუთრებით კი წამოყენება და სამუშაოდ მოწვევა უპარტიობისა.

10. დადგენილ იქმნეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ცენტრალურ დაწესებულებებისა, თუ ისინი შეაფერხებენ ინიციატივას ადგილებიდან, ან საკმაო დახმარებას არ აღმოუჩენენ მათ.

დაევალოს სრულ. რ. ც. კ. ფრაქციას შეიმუშაოს სათანადო დებულება და მახლობელ სესიაში გაატაროს იგი.

11. კონფერენცია ავალებს ცეკასა და პარტიის სხვა ორგანოებს მიიღონ სისტემატიური ზომები პროპაგანდისა და აგიტაციის გასაძლიერებლად და აგრეთვე მოახდინონ სათანადო გადაჯგუფება ძალების ზემო დასახელებულ ზომების სრული განმარტებისათვის და [illegible] ცხოვრებაში გასატარებლად.

12. პარტიამ თავის უსაჭიროეს და აუცილებელ მიზნად დაისახოს გულმოდგინე და ყოველმხრივი გაშუქება შესწავლა როგორც პრესისა, ისე საბჭოების და პროფესიონალურ კავშირების კრებებსა, კონფერენციებსა, სიეზდებსა და სხვა ასეთებზე პროვინციებსა და ცენტრში მომხდარ პრაქტიკულ ცდებისა სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში,

* * *

ჩვენ ვფიქრობდით რომ მობილიზაციით შევივსებოდა სპეციალისტთა რიცხვი, მაგრამ მოლოდინი ორი პროცენტითაც კი არ გამართლდა. შედარებით მოხელეებთან საერთოდ უნდა ვსთქვა, რომ მობილიზაციამ ნაკლები ნაყოფი მოგვიტანა, რადგან ის საუკეთესო სპეც ტეხნიკები, რომელნიც ამ უწყებას განშორდნენ აქ არ დარჩნილან და დარჩნენ მხოლოდ ისეთი მოხელეები რომელნიც გერმანეებს მოყვნენ. მათ სხვაგან წასვლა არ შეეძლოთ და მხოლოდ სპეკულიაციაში ჰყვნენ გართულნი. ეხლა ეს არა ქართველი ელემენტები გაეროვნებას თუ უშლიან ხელს, თვარა ნაყოფი ფ.-ტელეგრაფის საქმის საჭირო სიმაღლეზე დაყენებისათვის მათ არავითარი სარგებლობა არა მოაქვთ. რა თქმა უნდა დღევანდელი მცირე კორესპონდენციის დროს მათი მობილიზაცია არ იქნებოდა ნაყოფიერი რადგან მათ არც რაზმების აგება, არც სადგურების მოწყობა, არც ჩქარი მომქმედი მანქანების გამართვა და არც სახელოსნოში მუშაობა არ შეუძლიანთ.

[illegible] ცხადია არავითარი საშუალება [illegible] აღნიშნული მიზნის [illegible] ტეხნიკურ კურსების გარდა მხოლოდ კურსებიცაა და კურსებიც, თუ ისეთი კურსები იქნება, როგორიც აქამდე იყო, მაშინ გარწმუნებთ, რომ დასახული მიზანი არ გასცილდება გაყინულ წერტილს, რადგან დღევანდლამდი არსებული კურსები ეს ნაშთია ძველი ხაზ-მოდებული ბიუროკრატიისა. იქიდან ჩვენ მხოლოდ თუ მივიღებთ ჩინოვნიკურად გათქვეფილ ტეხნიკს და არა ნამდვილს ტეხნიკური შემოქმედებითი სავსე სულ ელემენტს. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია მისი ძირითადად გარდაქმნა რეალურ ტეხნიკურ საფუძველზე, რომ იქიდან ტეხნიკური პერსონალი არ ითქვიფებოდეს მოხელეთა კორპორაციასთან. დღეს კი ტეხნიკური პერსონალი მოხელეებთან სრულიად გათქვეფილია და ამ პირობებში რა თქმა უნდა ტელეგ.-ტელეფ. და რადიო-ტელ. საქმე, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია ელექტრო-ტეხნიკური მეცნიერებით აღარ ვითარდება ჩინოვნიკურ ფარგლებში. ელექტრო-ტეხნიკურ მეცნიერებას ყოველთვის დიდი დამოკიდებულება ჰქონდა ტელეგ.-ტელეფ. და რადიოტელეფ. საქმესთან და ელექტრო-ტეხნიკას არცა აქვს ისეთი ძლიერი მხარეები როგორიც არის ტელეგრ.-ტელეფ. და რადიო ტელეგრაფი. არც მის ისტორიას ახსოვს ისეთი შემთხვევა, რომ ელექტრიკული მეცნიერების განვითარება ზემო აღნიშნულ საქმესთან ყოფილიყოს დაშორებული.

ამისვე დამადასტურებელია აგრეთვე ისიც რომ ჩვენ მექანიკოსებს, მიუხედავათ იმისა რომ ბევრმა მათგანმა არაფერი იციან თეორიულად ელექტროტეხნიკაზე, მათ მაინც პრაქტიკულად კარგად აქვთ გაცნობილი შესწავლილი ყველა წვრილმანები ელექტრიკულ საქმეებისა, —რადგან ისინი ბუნებრივად ტელეგრაფების რთულ მექანიზმებზე და დაპარატებზე საჭირო ხნის მუშაობის შემდეგ დგებიან ამ დარგის მაღალ საფეხურზე. ავიღოთ ჩვენ ჩქარი მომქმედი მანქანები მეცნიერებ, „იუზის", „ბოდოსი", „უიტსონისა", და ნორმალური მანქანა „მორსესი", აქ თქვენ დაინახავთ ისეთ რთულ მექანიზმებს და ელექტრიკულ შემადგენლობას, როგორიც არ არსებობს სხვა დანარჩენ თანამედროვე ელექტრიკულ შემადგენლობაში, როგორც არ არსებობს სხვა დანარჩენ თანამედროვე-ელექტრიკულ მანქანებში. თუ რომელიმე მექანიკოსი ამ მექანიზმებს შეისწავლის ძირითადად მის პრინციპებსა და ტეხნიკას როგორც პრაქტიკულად ისე თეორიულად, მას შემდეგ ის ბუნებრივად ადვილად ერკვევა ყველანაირი მანქანების მექანიზმებში, ხოლოდ ჩვენთან სკოლის სათანადოთ მოუგვარებლების გამო ჯერ არ არსებობს ისეთი მექანიკოსები, რომ მათ პრაქტიკის გარეშე, თეორიულადაც ღრმადა ჰქონდეს შესწავლილი მთელი მისი მეცნიერება და სწორედ მთავარი მიზეზი ეს იყო,—რომ ჩვენთან ტეხნიკურ შემოქმედებას გასაქანი არ ეძლეოდა და ტელეგ.-ტელეფ. და რადიო-ტელეგ საქმის განვითარებასაც სათავეშივე ეღობოდა ბოლო. ამისავე დამახასიათებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მოხელეები ბოლო დროს ყოველივე გამოცდების გარეშე გადადიოდენ მექანიკოსებად და ეს მათთვის იმდენად სასარგებლო იყო, რამდენად მოქმედ კანცელარიით ჯიბეს ივსებდენ და მუშაობა კი თავისთავად სწარმოებდა გამოცდილი ზედამხედველობისა და მუშების საშუალებით.

გარდა ამისა ფოსტა-ტელეგ.-ტელეფ. და რადიო-ტელეგრაფს ყოველთვის ეტანებოდნენ ისეთი წვრილი ინტელიგენტური ძალები რომელთაც ოთხი ექვსი ან რვა კლასის შემდეგ უსახსრობის გამო სწავლის გაგრძელება აღარ შეეძლოთ და აქედან სურდათ გაეფართოებინათ მიღებული მცირე ჯამაგირით თავისი განვითარების საქმე, მაგრამ ამის მაგივრად ყველა მათგანს ჩინოვნიკური კარიერა ითრევდა თავის სიღრმეში და გასაქანს აღარ აძლევდა არცერთის შემოქმედებას.

აქედან როგორც დაინახავთ ჩვენთვის საჭიროა ისეთი სკოლა, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც მოსამსახურეთა თანდათანობით რეალურათ გარდაქმნას, ისე ფართე გასაქანს მისცეს ზემო-აღნიშნულ მიზანს. მაშ რანაირი უნდა იყოს ეს სკოლა?

სკოლა უნდა იყოს აგებული წმინდა ტეხნიკურ ნიადაგზე საშუალო განათლების უფლებებით და ყოველ შემთხვევისათვის მოხელეთათვის პარალელური განყოფილებით. სკოლაში აგრეთვე სავალდებულო უნდა იყვეს ერთი სხვა ენის შესწავლა და ამ სკოლის დამთავრების ვადა უნდა იყვეს წლიწადი ან წლინახევრიანი. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ თუ სულ არა რამდენიმე კაცი მაინც უნდა იგზავნებოდეს საზღვარ გარეთ მაქსიმალური ტეხნიკური ცოდნის შესაძენად.

ჩვენ სკოლისათვის ბევრი მასწავლებლების მოწვევა არ დაგვჭირდება, ჩვენ გვყავს გამოცდილი ელექტრო-ინჟინერები, ელექტრო-ტეხნიკები, მექანიკები და სხვა. შეგვიძლია ყველა ეს ძალები გამოვიყენოთ ამ მიზნისათვის. მეორე,—ჩვენ არ გვჭირდება ფიზიკური კაბინეტების შეძენა რადგან პრაქტიკული მეცადინეობისთვის უფრო რეალური კაბინეტები გვაქვს ვიდრე თანამედროვე ჩვენ ტეხნიკურ უნივერსიტეტს აქვს. მაგ. როგორც არის საინჟინერო-ტეხნიკური სადგური, აკუმულიატორები, ქალაქის ტელეფონის ქსელი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სადგურები, ქიმიური შემადგენლობის სხვადასხვა მეცნიერთა ელემენტები, ჩქარი მომქმედი მანქანები კომუტიტორები, სახელოსნოები სადაც ყველა ჯურის იარაღი ნახვით და შემდეგ საუცხოვოდ მოწყობილი სახელოსნო. ცხადია ვერსად. და კიდეც იმიტომაა რომ იმას რაც ჩვენთან მექანიკოსები პრაქტიკულად გადიან, თანამედროვე უნივერსიტეტებში ტეხნიკურ ფაკულტეტზე მესამე და მეოთხე კურსებზე გადიან, ამიტომ ჩვენ ოდნავ მაინც თუ გვაინტერესებს მომავალში დასახული მიზნის განვითარება გაფართოება, რაიც უაღრესად საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის თქვენ მაშინ დამერწმუნებით ასეთ სისტემიან კურსებზე. მე ჩვენ ქვეყანას მიტომ ვადარებ ამ დარგს, რომ ის მდიდარია როგორც წყალსადენებით ისე თეთრი ნახშირით და ეს კი ჩვენში საუკეთესო შედეგია მომავალი კულტურული ცხოვრებისათვის. მხოლოდ თუ ჩვენ თავიდანვე საფუძველი არ გამოვიყენეთ და არ შევემზადეთ მაშინ მთელი ეს ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე გადაიქცევა მტაცებლური კაპიტალის საჯიჯგნად და ჩვენც გამოგვიყენებს თავის საექსპლოატაციო მიზნებში როგორც ბრმა იარაღი.

სულ სხვაა ჩვენ თუ ელექტრიკული მეცნიერებით მომწიფებულნი ვიქნებით. მაშინ ჩვენი ბუნებრივი ქონების საკუთარი ძალითაც რომ ვერ შევძლოთ დამუშავება და გარეშე კაპიტალი რომ კიდევაც შემოიჭრას ჩვენში იმას კუდს არ გავაქნევინებთ და მადასაც შევუმოკლებთ. ეხლა კი რა თქმა უნდა ჩვენი ექსპლოატაცია ადვილია და ამის მიზეზები ყოველთვის უნდა ვეძიოთ ელექტრო ტეხნიკური სასწავლებლების უქონლობაში. და არავის დაუარსებია ასეთი და მით უფრო შეუძლებელი ხდება მისი დაარსება დღეიდან, მხოლოდ არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი გზა, როგორც ზემოთ აღვნიშნე ფოსტა-ტელ.-ტელეფ. და რადიო ტელეგრაფის უწყებაში თუ აქ ვერაფერი გავეხერხეთ მაშინ აღარ ვიცი..

ყოველ შემთხვევაში თუ შესაძლებლობა მოიტანს ასეთი კურსების დაარსებას მაშინ საკითხის უფრო რადიკალურად ჩამოყალიბებისათვის საჭიროა მონაწილეობა მიიღოს ფოსტა-ტელეგ.-ტელეფ. და რადიო ტელეგრაფის ხელისუფლებასთან ერთად ამიერ-კავკასიის გზათა კავშირის და ელექტრო ტეხნიკური სამსახურის კომპეტენტი წარმომადგენლობას, რაიც მეტ ნაყოფს მოუტანდა განზრახულ მიზანს.

ლ. ც.

პარტიული ცხოვრება

სენაკი. 2 ივნისს 1921 წ. მოხდა კრება სენაკის სამაზრო პარტკომის დარბაზში შაბათელების დიდ კომისიის წევრებისა, სადაც კრების თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული მაკარი ბედია, ხოლო მდივნათ ვანო ჩაკვეტაძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. შაბათელების ბიუროს წევრების მიერ აღმოჩენილი სამუშაოების შესახებ. 2. შაბათობის ბიუროს წევრების სხდომის დადგენილება. 3. მოხსენებები ადგილებიდან. 4. რომელ საათიდან უნდა გამოვიდნენ შაბათელები სამუშაოდ.

1. პირველ საკითხის შესახებ კრებას მოხსენებას უკეთებს ამხ მაკარი ბედია, რომელიც კრებას ფართოთ აცნობს ბიუროს წევრების მიერ აღმოჩენილ სამუშაოების მნიშვნელობას და მასზე სამუშაო ხელების საჭიროების რიცხვს, რომელსაც კრება ადასტურებს.

2. მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მაკარი ბედია, რომელიც დეტალურად უხსნის კრებას ყოველივე ბიუროს წევრებით დადგენილებას. რასაც კრება ერთხმად ღებულობს და ადასტურებს ბიუროს წევრების დადგენილებას.

3. მესამე საკითხის შესახებ კრებამ სურვილი გამოსთქვა იქნეს გაკეთებული მოხსენება ადგილებიდან რის მოსმენის შემდეგ კრებამ საჭიროდ მიაჩნია იქნას შეტანილი წერილობითი მოხსენება ბიუროს თავმჯდომარის განსახილველად.

4. მეოთხე საკითხის შესახებ კრება ადგენს მუშაობა იქმნას დაწყებული დილის სამი საათიდან, რომელიც გაგრძელდება საღამოს შვიდ საათამდი, ხოლო მუშაობაში მონაწილეობის მიმღებნი ანებებენ თავს კანცელარიის მუშაობას პირველ საათზე, და თავს იყრიან პარტკომის დარბაზში სამი საათზე, სადაც მოხდება ძალების განაწილება.

კრების თავმჯდომარე მ. ბედია.
მდივანი: ვ. ჩაკვეტაძე.

ქ. ოზურგეთი (გურია).

1 ივნისს 1921 წ. შესდგა გურიის კომ. პრეზიდიუმის კრება, დაესწრნენ: ვარ. კილანდაძე, კ. გუგენიძე, ს. დოლიძე და ოზურ. სამ. რევ. თავმჯდომარე ანდრო დოლიძე.

დღის წესრიგი:

1) გურიაში რაიონების გადაჯგუფება;
2) რაიონებში პასუხისმგებელი მდივნების დანიშვნა.
3) დროებით პასუხისმგებელი კორესპოდენტის დანიშვნა.

1) რაიონების გადაჯგუფება კრებამ ერთხმად მიიღო და გურია დაყო შვიდ რაიონათ:

1) ოზურგეთის რაიონი, რომელშიაც შედიან შემდეგი თემების ორგან.: ბახვი, დვაბზუ, შემოქმედი, ლიხაური, გურიანთა, ხვარბეთი, სამხთო, თვით ოზურგეთი.
2) სუფსის რაიონი შემდეგი თემების ორგან. თვით სუფსა, ჩოჩხათი, მაქელ გაბრიელი, ნიგვზიანი.
3) ლანჩხუთის რაიონი: ლანჩხუთი, შუხუთი, ჩიბათი, ჯურუყვეთი, ნიგოითი.
4) ჩოხატაურის რაიონი: ჩოხატაური, ზემოხეთი, საჭამიასერი, კოხნარი, ბუკის ციხე, დიდი ვანი, შავსურები, თავსუფები, ფარცხმა, ამაღლება, ერკეთი.
5) აკეთის რაიონი: აკეთი, ძიმითი, ჰანჯეთი, ეცანა.
6) ხიდისთავის რაიონი: ხიდისთავი, ჯვარცხმა, შუხნარი, ასკანა, ნაგომარი, ხევი.
7) ჯუმათის რაიონი: ჯუმათი, სილოური და ცაცხვიანი.

სხვადასხვა რაიონებში პასუხისმგებელ მდივნებათ იქნენ დანიშნული შემდეგი ამხანაგები:

ოზურგეთის რაიონის პასუხისმგებელ მდივნათ ამხ. ელ. კალანდაძე, სუფსის რაიონის ამხ. ოტია კომახიძე. ლანჩხუთის—კოლია ებრალიძე. ჩოხატაურის—ნოე ზამბახიძე. აკეთის—გიორგი მენაბდე. ხიდისთავის—ვარ კუნჭულია. ჯუმათის გ. გოგიბერიძე.

პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით პასუხისმგებელ მდივნებს გარდა უნდა დაარსდეს ყველა რაიონებში რაიკომები.

რაიონული კომიტეტების არჩევა უნდა მოხდეს კონფერენციის საშუალებით. თითოეულ რაიონულ კომიტეტში უნდა შედიოდეს ხუთი ამხანაგი, ამათ რიცხვში ერთი პასუხისმგებელი მდივანი. კომიტეტის პრეზიდიუმი უნდა შედგებოდეს სამი წევრებისაგან. არჩევნებითი სისტემა რაიკომისა უნდა მოხდეს შემდეგი წესით: იაჩეიკა შვიდი კაციდან ოც კაცამდე შემდგარი გზავნის ერთ დელეგატს. რაიონებში კონფერენციებს ხელმძღვანელობას უწევს გურ. კომ. დანიშნული რწმუნებულები, რომლებმაც კონფერენციებს უნდა გაუწიონ ხელმძღვანელობა, გააკეთონ მოხსენებები მიმდინარე მომენტზე და პარტიულ მუშაობაზე, მოისმინოს მოხსენებები ადგილობრივი წარმომადგენლებიდან, უხელმძღვანელოს რაიკომის არჩევას, შეადგინოს სია რაიონულ კომიტეტის შემადგენლობისა გურ. კომიტ. წარმოსადგენათ. წარმოუდგინოს ვრცელი ანგარიში კონფერენციისა, როგორც გურ. კომიტეტს ისე რედაქციაში; მეორე დღეს რწმუნებულები უნდა დაუბრუნდენ თავიანთ ადგილებს.

ცეკასთან არსებულ კურსანტების კრება.

1921 წ. 4 ივნისს მოხდა ცეკასთან არსებულ კურსანტების საერთო კრება. დაესწრო სულ 49 ამხანაგი. თავმჯდომარედ იქნა ერთხმად არჩეული ამხ. ივანე სეფერთელაძე, მდივნად სერგო თაბაგარი.

დღის წესრიგში იყო შეტანილი სამი საკითხი: 1) მოხსენება ამხ. მდინარაძის, 2) კომიტეტის არჩევა, 3) ლექციების კითხვა ქართულად თუ რუსულად.

1) მოხსენებას აკეთებს ამხ. მდინარაძე და აცნობს კურსანტებს, რომ საჭიროა ორგანიზაციული მოწყობა და ურჩევს მათ დროებითი კომიტეტის არჩევას.

2) დროებითი კომიტეტის არჩევა.

ამხ. მდინარაძის მოხსენების შემდეგ უკამათოთ მოხდა დრ. კომიტეტის არჩევნები 5 კაცისაგან შემდგარი და ხმის უმრავლესობით იქნენ არჩეული შემდეგი პირები: ჩიტალაძე პორფილე, ჭანკია ალექსანდრე, გოგბერაძე ალექსანდრე, ხუციევი მარტია და ხარაბაძე კონსტანტინე.

იქონიეს რა მსჯელობა თუ რა ენაზე უნდა სწარმოებდეს ლექციების კითხვა კრებამ ერთხმად დაადგინა: იქნას ლექციების კითხვა ქართულ ენაზე.

კრების თავმჯდომარე სეფერთელაძე
მდივანი ნ. თაბაგარი.

პროფესიონალურ კავშირებში

მეთამბაქოეთა კავშირები.

მუშაობა კავშირში და მის ყოველ განყოფილებაში საკმაო ინტენსიურად სწარმოებს. საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილებამ მოიწვია ყველა ფაბრიკა ქარხნის კომიტეტს საზოგადო კრება მომავალი მუშაობის ინსტრუქციისათვის. ამ ჟამათ გაძლიერებული მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს სრულიად საქართველოს კონფერენციის მოსაწვევად. კავშირის ეკონომიურმა განყოფილებამ დაუგზავნა ყველა ფაბრიკის კომიტეტს სანკეტო ფურცლები წარმოებისათვის საჭირო ნედლი და სათბობ მასალის რაოდენობის გამოსარკვევად. მუშათა მომარაგება თან და თან ეწყობა. დიდ ქარხნებში სასადილოები გაიხსნა. მუშების ფეხსაცმელებს უფასოდ აკერებენ. კულტურული განყოფილებამ მოაწყო ადგილობრივ კულტურული იაჩეიკები. შვიდ დიდ ფაბრიკასთან სამკითხველო ბიბლიოთეკები გაიხსნა. მოწყობილი იყო მთელი რიგი კონცერტებისა. კავშირის საბინაო განყოფილებამ 50 მუშას ბინა მისცა. კავშირთან დაარსდა ბავშვთა ახალშენების საორგანიზაციო კომისია, რომელიც საავადმყოფოს გახსნასთან ერთად შეუდგება მუშათა ბავშვების ხელახალ შემოწმებას. ბოზარჯიანცის ქარხანასთან ბოლტანი გამართეს. სხვა ქარხნებში კი სპეციალისტ ინსტრუქტორების უყოლობის გამო ვერ მოხერხდა ბოლტნების მოწყობა. კავშირთან დაარსდა კომფრაქცია, რომლის თაოსნობით ტ. კ. მიერ წარეგზავნა პასუხისმგებელი ამხანაგები. უფრო დიდ დაწესებულებებში პოლიტკომების თანამდებობაზე დასანიშნავად.

ქ. ოზურგეთი (გურია)

გურ. სამაზრო პროფკავშირის სეკრეტარიატის მიერ, 2 ივნისს, მოწვეულ იქნა კრება ყველა საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლების.

კრებას დიდი უმრავლესობა დაესწრო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. თ. დოლიძე (კომუნისტი) მდივნათ—კ. ჩხარტიშვილი (კომუნისტი).

დღის წესრიგი:

1) პროფესიონალურ კავშირის მნიშვნელობა.
2) კომიტეტის არჩევა.
3) დელეგატის არჩევა თათბირზე და კონფერენციაზე გასაგზავნათ.

I. პროფკავშირების—მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ნოე ქურიძემ, რომელმაც ვრცლად აუხსნა დამსწრეთ პროფესიონალური კავშირის წარმოშობა, მისი მასიური ხასიათი, განსხვავება პროფკავშირისა ძველი წყობილების და საბჭოთა ხელის უფლების დროს. დასასრულ ამხანაგი დაჯილდოვებულ იქმნა მხურვალე ტაშით.

II. კომიტეტის არჩევის დროს მენშევიკები დაწინაურდენ. მოინდომეს მათი კანდიდატების გაყვანა, მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში. იყო ერთი სია სეკრეტარიატის მიერ წარმოდგენილი, მეორე მათგან. დიდი ხმის უმეტესობით გავიდა სეკრეტარიატის მიერ წარმოდგენილი სია. კომიტეტის შემადგენლობა: 1) ერას. ჩიგოგიძე (კომუნ.) 1) ლეო თიკანაძე (კომუნ.) 3) კ. დოლიძე (ფედ.) 4) კ. ჩხარტიშვილი (კომუნ-) 5) ტუსკია (ფედ.).

III. საქართველოს პროფკავშირის თათბირზე და კონფერენციაზე გასაგზავნათ არჩეულ იქნა ამხ. ნოე ქურიძე (კომუნისტი).

დასასრულ ამხ. თ. დოლიძემ წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა, რომელმაც მოკლეთ და მკაფიოთ აუხსნა დამსწრეთ დღევანდელი მდგომარეობა და პროფკავშირის მნიშვნელობა.

ყარაჩოღელი

პროვინციაში

დ. ჩხარი.

ეკონომიური მდგომარეობის გამო, პარტკომ რევკომის შეერთებული კრების, რეზოლიუციის თანახმად სასწრაფოდ მაზრიდან მოწვეულ იქნა შინაგან საქმეთა მმართველი ამხ. სოსო ალაზნისპირელი ადგ. მდგომარეობის გამოსარკვევათ. 28 მაისს მოვიდა ამხ. ალაზნისპირელი, რომელიც შეერთებულ კრებაზე, გაეცნო ჩვენს მდგომარეობას. კრებაზე კამათმა, ეკონომიური კრიზისის გამო, მწვავე ხასიათი მიიღო. ალაზნისპირელის დახმარებით იქნა გამონახული ყოველ გვარი ზომები, შიმშილის წინააღმდეგ. გარდა ამისა ამხანაგმა წაიკითხა რეფერატი, ადგ. თეატრის დარბაზში მუშათა კლასის ისტორიაზე. რეფერატს შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. მეორე დღეს—ორშაბათს გაიმართა კიდევ ლექცია, სადაც ამხ. ალაზნისპირელს გამოეკამათა ბ. კორტი, რომელიც თავის თავს უწოდებდა მემარცხენე სოც. ფედერალისტს. მას (კორტს) თავის გრძელ სიტყვაში ახალი არაფერი არ უთქვამს, მოყვა ჩვეულებრივათ კომუნისტების ტერორიზმზე, ბოლოს ძალიან გადაიჩეხა პარლამენტარიზმის საკითხში, რითაც დაამტკიცა თავის „მემარცხენეობა". ყოველ კითხვებზე შესაფერი პასუხი გასცა ამხ. ალაზნისპირელმა. დასასრულს ხალხი დიდათ ნასიამოვნები დაიშალა. მეორე დღეს ამხანაგი გაემგზავრა სხვა თემებში, დასათვალიერებლათ.

„აჭაურთაგანი".

წერილი ოზურგეთიდან.

თითქმის მოეღო ბოლო ჩვენში გავრცელებულ „კაცთ-ჭამიაობის" ძახილს. ხალხი დღითი დღე ერკვევა მდგომარეობაში. ხალხი დღითი დღე გამოდის იმ ბურუსიდან, რომელიც თავს მოახვიეს მენშევიკებმა. უნდა ითქვას რომ, გარდა იმ პირებისა, რომლებიც გაიძახოდენ: „კომუნისტებმა თავზე ოქროც რო გვაბნიოს, მაინც თუჯად გვეჩვენება"-ო, დღეს ყველა, ყველა გლეხი და ყველა სინდისიერი თანამშრომელი, საბჭოთა დაწესებულებისა, კმაყოფილების თვალით შეჰყურებს საბჭოთა ხელის-უფლებას. არიან ისეთებიც, რომლებიც სრულიად არ ეწინააღმდეგებიან და პირიქით კმაყოფილიც არიან მისი, მაგრამ ჯერ-ჯერობით გარეთ დგანან, სცხვენიათ კიდეც ჩვენს პარტიასთან დაახლოვება. და თანაც ვერ გამოუკლოვიათ კიდევ „საორმოცო" განსვენებული პარტიისა. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს ასეთები ადრე შეიგნებენ თავიანთ წმინდა მოვალეობას და ჩვენთან ერთად წამოვლენ იმ დიად გზისაკენ, რომელსაც მუშურ-გლეხური ინტერესები მოითხოვს. გვესმის ხმები: „ზოგიერთი დაწესებულებებში ვერ დგანან თავის სიმაღლეზე"-ო, ეს არც გასაკვირია... ყველამ იცის, რომ ჩვენი პარტიის აქტიურ მომუშავე ამხანაგებს, (რომლებიც დღეს ასე ითქმის, ყველა მმართველობაში მოხვედრილან, დანგრეულ სახელმწიფო აპარატის მოსაწესრიგებლად) რა პირობებში, რა მდგომარეობაში უხდებოდა მალულად მუშაობა; ან სარდაფებში, ან სოროებში, ან სადღაც მიმალულად ტყეებში, სრულიად დაშორებული სახელმწიფოებრივ აპარატს. ნუ თუ გასაკვირალია რომ, რომელიმე დაწესებულება არ იყოს თავის დონეზე? მმართველობის პრაქტიკა მუცლიდან ხომ არ გამოჰყვებოდათ?!

მაშასადამე ჩვენ სრულიად არ გვაშინებს ასეთი ხმები, რადგანაც ასეთ დაბრკოლებებს დღითი დღე ვლახავთ და ვასწორებთ. ჩვენც ასეთ პირობებში მოგვიხდა მუშაობა. ოზურგეთის სამხედრო საგუბ. განათლ. განყოფ. მაგრამ მიუხედავად ხსენებულ დაბრკოლებისა, ჩვენ შევძელით წითელ არმიაში რამდენიმე კომიაჩეიკების დაარსება, მათთვის სამკითხველოს გახსნა, მათთან პოლიტიკური საუბარი და წარმოდგენის მოწყობა.

გი—ლუა.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22,

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „[illegible]", ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო [illegible]ლის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— [illegible]ბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. [illegible]—53

მე-5-თე რაიონის ბიურო— [illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

პარტიული

პრეზიდიუმი მე-4 რაიკომისა ამით აუწყებს კომიაჩეიკის ყველა მდივნებს და რაიკომის პასუხმგებელ ხელმძღვანელებს, რომ სამშაბათს 28 ივნის საღ. 6 საათზე რაიკომის ბინაზე (ოლღის ქ. 29) შესდგება სხდომა კომიაჩეიკების ყველა მდივნებისა და პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა.

დასწრება ყველა ამხანაგთათვის სავალდებულოა.

პროფკავშირების პლენუმის სხდომა

შესდგება სამშაბათს, 28 ივნისს 1921 წ. კინო „მინიონის" დარბაზში. დასაწყისი საღამოს 6 საათზე. ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

პრეზიდიუმი.

ჟურნალი „ლახვარი"

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი".

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების საგიტაციო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 4000
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, [illegible] ქ. № 4.